46 /
1902/2

კვალი

ბათუმის სახ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

X. ყოველ-კვირეული გაზეთი. X წ.

№ 20 კვირა, 12 მაისი 1902 წლისა. № 20

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: წერა-კითხვის საზ-გ. კრება X სა.—ზოგ კითხ. მიწ.-მფლ. შესახ ჩვენში, მოსაუბრე-სი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—ლექსი დარია ხუნდაძისა—სურათები ჩვენი ცხოვრებიდან ცი.ც.-ისა—პასუხათ ბ. კალამს მოსაუბრე-სი.—საზღვა-გარეთ.—რა არის მოდა? გრ. რობაქიძი-სა.—არჩევნები პარიზში №-სა.—რუსეთის ცხოვრება—ქუთ. გუბ. მეაბ. კრება ნ. ჩ. სი.—განცხადებანი.

„კვალის“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27, ბ-ნ მარტიროზოვის შენობაში.

3969

წერა-კითხვის საზოგადოების მომავალი კრება.

წერა-კითხვის საზოგადოებას რომ დიდი პატივისცემით ეპყრობა სულ ყველა ჩვენში, ამის ეჭვი არავის არ უნდა ქონდეს. ისიც ცხადია, რომ ბევრი ამ პატივისცემაში და გატაცებაში მხოლოთ ოცნების ბრალია. ჩვენ გვიტაცებს მაინც და მაინც არა ის, რაც არის და რასაც დღეს ვხედავთ, არამედ ის, რაც გვინდა დავინახოთ. ასე რომ აქ ჩვენ უფრო ოცნებას ვეტრფიალებით, ვიდრე თვითონ საქმეს. საქმით კი ჩვენი საზოგადოება ისევ ძველებური დარჩა და მის მოქმედებაში ვერავითარ წინსვლას ვერ ვხედავთ. პირ იქით გასული წლის ანგარიში თითქო გვიჩვენებს მისი მოქმედების შესუსტებას. სწორეთ რომ საოცარი მოვლენაა. მაშინ, როდესაც ხალხში თანდათან იზრდება სწავლის სურვილი, თანდათან მატულობს გონებრივი საზრდოს საჭიროება, ჩვენი საზოგადოება თითქო უკან-უკან მიდის, თითქო სრულიათ არაა მისთვის საყურადღებო ის, რაც მის გარშემო ხდება. როგორც მოგეხსენებათ, წერა-კითხვის საზოგადოება აარსებს შკოლებს, მართავს სახალხო კითხვებს და აარსებს სამკითხველოებს, ბეჭდავს წიგნებს და სხ. ერთი სიტყვით წესდების ძალით საზოგადოების მოქმედებას ექვემდებარება სახალხო განათლების თითქმის ყოველგვარი ზომა. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ საზოგადოება არ აარსებს ახალ შკოლებს. მაგრამ რაც შეეხება დანარჩენ საქმეებს, აქ კი არავის თავის მართლება არ შეუძლია. არ ვიცი, რომ საზოგადოებას თავისი ინიციატივით ერთი სამკითხველო დაეარსებიოს სადმე. დაარსებას თავი დავანებოთ. გამგეობა იმასაც ვერ ახერხებს, რომ შესაფერი თვალყური ეჭიროს არსებულ ბიბლიოთეკებზე, რომ წესიერათ მოაწყოს ისინი. ანგარიში არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, დაათვალიერა ეს სამკითხველოები გამგეობის მხრივ ვინმემ თუ არა? ყოველგან მოსაწონათაა საქმე თუ არა? და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მართლაც არავის დაუთვალიერებია ისინი, არც არავის უფიქრია რამე მათ გაუმჯობესებაზე. გამგეობა მხოლოთ სამკითხველოს გამგეებიდან უცდიდა „ანგარიშს“, სადაც აღნუსხულია, ვინ იცის, რა სისწორით, თუ რამდენი კაცი ყოლია წევრათ. გამგეობაც აღბეჭდავს თავის ანგარიშში: „საანგარიშო წელს (1901) საზოგადოებას ქონდა“ 7 სახალხო ბიბლიოთეკა. „იმავე წლის განმავლობაში საზოგადოებამ მთავრობის ნებართვით დააარსა სახალხო ბიბლიოთეკები თფილისში და ხონში“. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გამგეობას თითქმის არც კი გაუგია მათი დაარსება. მაშ ამ საქმეში გამგეობის მოქმედებაზე ლაპარაკი მეტია, რადგან აქ მოქმედებას კი არა, უმოქმედობას ვხედავთ.

ახლა გადავიდეთ წიგნების ბეჭვდაზე. ყველაფერში შეიძლება თავის მართლება განზე ხელის პოტინით, მარა აქ კი გამგეობა სრული პასუხის მგებელია, აქ ის სრულიათ დამოუკიდებელია. თუ ის აქაც ყალბობს, ეს მხოლოთ მისი ნამეტანი სისუსტის ნიშანია.

1899 წ. საზოგადოებას დაუბეჭდია სულ ხუთი წიგნი: 1) თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი, 2) კრებული ა. პუშკინისა, 3) ქართული სიმღერები, ი. კარგარეთელისა, 4) დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა და 5) ბუნების კარი.

1900 წ. დაუბეჭდია აგრეთვე 5 წიგნი. 1) დედა-ენა, 2) არითმეტიკული კრებული, რ. ჯაჯანაშვილისა, 3) წყარო, არ. ქუთათელაძისა, 4) სიმღერები, ქორიძისა და 5) იავნანამ რა ქნა?

1901 წ. საზოგადოებას ოთხი წიგნი დაუბეჭდია: 1) დედა-ენა, 2) კონა, ი. გოგებაშვილისა, 3) კრილოვის არაკები და 4) მოთხრობა „ყოველის მხრიდან“, არბოლელისა. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ წლობით დედა-ენა მეორდება. ეს წიგნი ჩვენ, მართალი რომ ვთქვათ, სრულიათ უნდა გამოვრიცხოთ საზოგადოების გამოცემებიდან. ამ წიგნის დაბეჭდვაში საზოგადოებას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის. წიგნის გამოცემა სავსებით ავტორის ხელშია. ის ბეჭდავს წიგნს, ის ასწორებს და მზა-მზარეულათ აბარებს საზოგადოებას. აქ უბრალო

კომისიონერობაა და მეტი არაფერი. საზოგადოება აქ თუ რამეს აკეთებს, მარტო იმას, რომ წიგნის გაყიდვისაგან შემოსულ სარგებელს აგროვებს თავის საქმეებისათვის. იგივე ითქმის ბუნების კარის შესახებაც, რომელსაც 1901 წლის ანგარიშში ველარ ვხედავთ, როგორც საზოგადოების გამოცემას. ალბათ საზოგადოებას ბევრი ფული აქვს, რომ სასარგებლო საქმეს თავი მიანება. საზოგადოთ სამი წლის განმავლობაში საზოგადოებას გამოუცია სულ 14 გამოცემა. ამათში რვა გამოცემა სახელმძღვანელოა, იმავე დროს დედა-ენა ყოველ წლობით, ე. ი. 3-ჯერ, ორი სიმღერების კრებულია. ასე რომ დარჩა სულ წმინდა ლიტერატურული გამოცემა 4. ამ ოთხში მხოლოთ ერთია ასე თუ ისე მნიშვნელოვანი, ეს ვაჟა-ფშაველას თხზულებანი. დანარჩენი წვრილმანი წიგნებია. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ საქმეში საზოგადოების გამგეობა არავითარ სიცოცხლის ნიშან-წყალს არ გვიჩვენებს. იმას წიგნების გამოცემაში არავითარი სისტემა და გარკვეული გზა არ აქვს. და განა შეიძლება რამე სისტემაზე ლაპარაკი იქ, სადაც არაფერი კეთდება? 1901 წელს გამგეობას მხოლოთ ის მოუხერხებია, რომ „მოამბიდან“ გადმოუბეჭდია არბოლის მოთხრობა! აი ამასაც თვითმოქმედება ქვია! მაშინ, როდესაც კერძო პირები ეტანებიან წიგნების გამოცემას და სასარგებლოთაც ხედავენ მას, საზოგადოება, რომლის განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას უნდა შეადგენდეს ეს საქმე, გულზე ხელ-დაკრეფილია! წარმოიდგინეთ, სხვისი გამოცემული წიგნების გაყიდვაშიც ვერ გამოუჩენია რაიმე ფხა. აქაც სრული უმოქმედობაა, რასაც ნათლათ დაგვანახვებს ორიოდე ციფრი. წიგნების გაყიდვიდან 1899 წ. საზოგადოებას დარჩენია წმინდა შემოსავალი 1868 მ. 52 კ., 1900 წ.—1917 მ. 48 კ., 1901 წ. კი—1485 მ. 11 კ. მაშ აქაც სისუსტე! ახლა კიდევ მოვიხსენიოთ ერთი მოვლენა. საზოგადოების ხელშია რამდენიმე მეტათ დიდმნიშვნელოვანი საგანგებო თანხა. ავიღოთ თუნდ სალიტერატურო ფონდი. ხომ დამეთანხმებით, რომ ეს ფონდი მეტათ სიმპატიური და სასარგებლო საქმეა? აბა, ვნახოთ, როგორ ზრუნავს ამ ფონდის შესახებ გამგეობა. 1899 წ. გასულს ყოფილა ამ ფონდის 1759 მ. 10 კ. 1900 წ. ამ თანხას მომატებია 48 მ. და კიდევ სარგებელი 90 მ. 35 კ., აქიდან 100 მან. დაუხარჯავთ, ასე რომ დარჩენილა წლის ბოლოს 1797 მან. 49 კაპ. 1901 წლის გნამავლობაში მიმატებია მხოლოთ სარგებელი, რის გამო შედგარა 1887 მ. 36 კ. სამი წლის განმავლობაში თანხა უძრავათაა. მის ზრდაზე არავინ ზრუნავს; რაღაცა სარგებელი თუ ემატება, თვარა სხვა არაფერი. მაშ რა დაგვრჩენია სანუგეშო? რომელ მხარეს მიუთითებთ, სადაც საქმე გაჩაღებული იყოს და რიგიანათ მიდიოდეს? მე მგონია ვერც ერთ.

ამ ნაირათ ჩვენ დავინახეთ, თუ რა უმოქმედობა იმალება ჩვენი გამგეობის მოქმედებაში. სამაგიეროთ მეორე მხარეა საინტერესო. რამდენათ გამგეობა არაფერს აკეთებს, იმდენათ მისი კანცელარია იზრდება. ეს ასეც უნდა იყოს. აბა, როგორ შეიქციონ თავი „მოღვაწეებმა“. წარმოიდგინეთ, გამგეობის მდივანს ორი თანაშემწე ყავს. ერთი, კარგი, საჭიროა, რადგან ის სავსებით აწარმოებს წიგნის მაღაზიის საქმეს. მარა მეორე რაღა საჭიროა? რა საქმეები აქვს გამგეობას იმდენი, რომ ერთი კაცი ვერ უწვდება? სულ დიდი რომ წარმოვიდგინოთ, კანცელარიას დღეში სჭირდება თითო ქაღალდის დაწერა ან და წაკითხვა და „საქმეში ჩაკერება“. ნუ თუ ამის მოხერხება არ შეუძლია ერთ კაცს? ან მეტი შეიძლება გაქვთ, რომ უაზროთ ხარჯოთ? შარშანდელ კრებაზე, როგორც მახსოვს, ბათომის შკოლაში მასწავლებლის მოწვევაზე რომ დავიწყეთ ლაპარაკი, მაშინ გამგეობას არავითარი სახსარი არ მოეპოებოდა? ეგების მასწავლებელი გარეშე პირია და მის მდგომარეობაში შესვლა თქვენ მიზანს არ შეადგენს? მარა ამას დავანებოთ თავი, ვიმედოვნოთ, რომ სისტემატიურ უმოქმედობას და საქმის ზეზერეულათ მოპყრობას ოდესმე მოქმედება მოყვება. [illegible] 1902 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას. აღვნიშნ[illegible] ის მუხლები, რომელთა შეცვლა ან მოსპობა არის საჭირო. ყველაზე უწინარეს უნდა მოისპოს მდივნის მეორე თანაშემწეს ადგილი და ხარჯიდან გამოირიცხოს 300 მ. მდივნის თანაშემწეს, რომელიც წიგნების ვაჭრობას აწარმოებს დაენიშნოს წლიურათ არა 480 მ., არამედ 600 მ. გარდა ამისა ხარჯებში ვკითხულობთ: „დივიდენდი წიგნების მოგებისა—600 მ.“. რა დივიდენდია ეს და ვის მიაქვს? დღეს დაწესებულია, რომ 25% წიგნების მოგებისა უნდა მიეცეს მდივანს და მის თანაშემწეს. აი ეს 25% შეადგენს დაახლოვებით 600 მ. მერე რისთვის მიაქვთ მდივანს და მის თანაშემწეს ეს დივიდენდი? განსაკუთრებულ შრომას ეწევიან ისინი წიგნების ვაჭრობაში, რამე ინიციატივას და გულმოდგინებას იჩენენ მათ გასაღებაში? რაც შეეხება მდივანს, ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არავითარი მონაწილეობა არ აქვს მას წიგნების გაყიდვაში. ასე რომ დივიდენდის რგუნება მისთვის ეს პირდაპირი უსამართლობაა. მართალია, მისი თანაშემწე შრომობს წიგნების გაყიდვაში, მარა შრომას თავისი ფასი არ აქვს? აქ [illegible] ვიტყვით, თუ ვის რა ერგება, ჩვენ შედარებით დავაფასოთ შრომა. საზოგადოებას სხვა მოსამსახურე პირებიც ყავს. რა დივიდენდს აძლევთ მათ? ან და ისინი ნაკლებს შრომობენ, ვიდრე თქვენი მდივანი? ერთი სიტყვით, როგორაც უნდა შეხედოთ საქმეს, „დივიდენდის“ არსებობა სრულიათ უსაფუძვლოა და მაშ ის მოისპოს. სამაგიეროთ უნდა ვეცადოთ ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენ მოსამსახურე პირთ. თავი დავანებოთ ქუთაისის და სენაკის სათავად-აზნაურო შკოლებს. იმათ თვით თავად-აზნაურობა ინახავს თავის ხარჯით და მოსამსახურე პირებიც ბევრათ თუ ნაკლებათ უფრო უზრუნველ-ყოფილი არიან. დანარჩენ შკოლებში ჩვენ გვყავს 11 მასწავლებელი, რომელთაც საერთოთ ეძლევათ წელიწადში 4560 მ. ამათში უმეტესი ჯამაგირი არის 720 მ. ხოლო უმცირესი 300 მ. ეს ჯამაგირი რჩება ისე უცვლელათ, რამდენიც არ უნდა იმსახუროს მასწავლებელმა. ცხადია, რომ რამდენათ დრო მიდის, იმდენათ მასწავლებლის მდგომარეობა უფრო უარესდება. ახალგაზრდობაში თუ ცოტათი კმაყოფილდებოდა, შემდეგშიაც, როცა მოვალეობა და მასთან მოთხოვნილებაც მატულობს, სახსარი მას არავითარი არ ემატება. აი აქ უნდა უშველოს საქმეს საზოგადოებამ. ჯერ-ჯერობით, რადგან ხელ-მოკლე ვართ, ეს მაინც მოვახერხოთ, რომ ყოველ ხუთი წლის სამსახურის შემდეგ მასწავლებელს მიუმატოთ ჯამაგირის 10%. ჯერ-ჯერობით შევჩერდეთ ორ ხუთ წელიწადზე, ე. ი. პირველ ათ წელზე. თუ წარმოვიდგენთ, რომ ყველა ჩვენ მასწავლებლებს უკვე უმსახურიათ ხუთ-ხუთი წელიწადი, მაშინ ხარჯს პირველ ხუთ წელს მიემატება 456 მ., ხოლო შემდეგ წლებში 912 მ. ამ ხარჯს დავფარავთ პირველ წლებში მაინც ისე, რომ განზრახულ ხარჯებს არ გადავცდებით. მდივნის მეორე თანაშემწეს ადგილის გაუქმება მოგვცემს 300 მ., აქედან 120 მ. მიუმატებთ მდივნის თანაშემწეს, დაგვრჩა 180 მ. წიგნების ვაჭრობის შემოსავლიდან 25%, რომელიც ახლა მდივანს მიაქვს, დაახლოვებით შეადგენს 600 მ., სულ 780 მან. ამ ნაირათ მაშინ ჩვენ მოვიქცევით უფრო სასარგებლოთ და სამართლიანათ. რასაკვირველია, მდივანს და მის თანაშემწესაც იმავე წეს დაუმორჩილებთ, როგორსაც მასწავლებლების შესახებ შემოვიღებთ. ამ გზით ჩვენ ცოტაოდნათ შეუმსუბუქებთ ცხოვრებას ჩვენ მასწავლებლებს და საქმესაც უფრო გულმოდგინებით მოეპყრობიან. დანარჩენ ხარჯთ-აღრიცხვას ჯერ-ჯერობით თავს ვანებებთ.

ბოლოს ვიმედოვნებთ, რომ წელსაც მომავალ კრებას წევრები არ დაივიწყებენ და გაახსენებენ გამგეობას მის მოვალეობას.

X.

ზოგიერთი კითხვები მიწათ-მფლობელობის შესახებ ჩვენში.

I.

მიწათ-მფლობელობა დღეს ჩვენში იმდენათ გამოურკვეველი საგანია, რომ იმაზე მსჯელობა მეტათ საძნელოთ, თითქმის შეუძლებლათაც მიგვაჩნია. მაგრამ მეორე მხრით მას იმდენათ არსებითი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაზე იმოდენი მწვავე კითხვების გადაწყვეტა კიდია, რომ ჩვენ ასე იქნება თუ ისე მაინც უნდა შეეხოთ მას. ამ წერილის მიზანს შეადგენს იმ მიმართულების გათვალისწინება, რომელსაც დაადგა ჩვენი მიწათ-მფლობელობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მისი (მიწათ-ფლობელობის) ზოგიერთი კერძო მხარეების დასახელებით. ამისთვის ჩვენ ვისარგებლებთ როგორც არსებული ოფიციალური სტატისტიკური მასალით, აგრეთვე სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით რუსეთის) მაგალითით და საზოგადო თეორიული მოსაზრებით. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროთ ვთვლით მოკლეთ განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე მიწათ-მფლობელობა, არის იგი ერთხელ და სამუდამოთ გაჩენილი რამ, თუ იგი ისტორიულათ შემუშავებულია და როგორც აგეთი წარმავალი.

მიწათ-მფლობელობის საყოველთაოთ გავრცელებულ ფორმათ დღეს უნდა მივიღოთ მიწის კერძო საკუთრება, თუმც ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში ან კულტურით ჩამორჩენილ მხარეებში მოიპოვება სხვა გვარი ფორმაც, მაგ., მიწის საერთო მფლობელობა, უფრო ხშირათ კი მხოლოთ მისი მკრთალი აჩრდილი. „მიწის საკუთრება (კერძო) აღნიშნავს—ამბობს ცნობილი გერმანელი ეკონომისტი—განსაზღვრულ პირთა მონოპოლიას მიწის განსაზღვრულ სივრცეზე, როგორც განსაკუთრებულ სამფლობელოს იმათი პირადი ნების მოქმედებისას, რომელიც სხვის განკარგულებას უარყოფს... მიწის კერძოთ სარგებლობა სრულიათ დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე, რომლებიც კერძო მფლობელთა დამოუკიდებლათ მოქმედებენ. თვით იურიდიული წარმოდგენა მხოლოთ იმას აღნიშნავს, რომ მიწის მფლობელს შეუძლია მოექცეს თავის მიწას ისე, როგორც საქონლის თითოეული პატრონი ექცევა თავის საქონელს. ასეთი წარმოდგენა კი, ე. ი. იურიდიული წარმოდგენა თავისუფალი კერძო საკუთრებისა,—ძველ დროში გაჩდა მხოლოთ საზოგადოებრივი წესწყობილების შერყევის დროს, ახალ დროში კი მხოლოთ კაპიტალისტური წარმოების განვითარების დროს“. ამნაირი წარმოდგენა მიწის საკუთრებაზე საფუძველს აძლევს იმ შემცდარ შეხედულებას მიწაზე, რომ ვითომც მიწა ისეთივე საქონელია, ე. ი. საცვლელი ღირებულება, როგორც შრომის ნაწარმოები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. და მართლაც მიწა წარმოადგენს დღეს ყიდვა-გაყიდვის, ე. ი. ვაჭრობის ერთ უდიდეს დარგს. მიწა და მასთან ერთათ მის გულში დამარხული ბუნებრივი სიმდიდრე, სხვა და-სხვა მადნეულობა, იყიდება ისე, როგორც შრომის ნაწარმოები, ე. ი. როგორც საცვლელი ღირებულება. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ საიდან წარმოდგა ეს შეცდომა. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის საკუთრება და იურიდიული წარმოდგენა ამ საკუთრებაზე შედარებით ახალი დროის ნაყოფია. დღეს უკვე მეცნიერულათ დადგენილია, რომ პირველყოფილმა დრომ არ იცის საზოგადოთ კერძო საკუთრება: ყოველივე ნივთი ჯგუფის ანუ თემის საერთო კუთვნილებას შეადგენს. განვითარების შემდეგ საფეხურზე ჩვენ ვხედავთ კერძო, ინდივიდუალური, საკუთრების ჩანასახს, [illegible] ეს საკუთრება შეიკავს მხოლოთ მოძრავ ნივთებს, [illegible] იარაღს და სხვ. რაც შეეხება უძრავ საკუთრებას, რომელიც დღეს ასე გამჯდარი აქვს თანამედროვე საზოგადოებას ძვალსა და რბილში, პირველ ხანებში არავითარი წარმოდგენა არ ქონდად მაზე. უძრავი საკუთრების დასაწყისი მიწის შემუშავების დასაწყისია, რაც შედარებით ძლიერ გვიან ჩდება. მაგრამ მიწის განსაზღვრული სივრცის ანუ ნაჭერის კერძო საკუთრებათ გამოცხადებამდის კიდევ შორ ვართ. დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრული ტერიტორია შეადგენს თემის, ოჯახის ან გვარეულობის მფლობელობას. თემი, ოჯახი, გვარი, როგორც ერთათ, ისე მათი წევრები ცალ-ცალკე სარგებლობენ მიწით, რამდენიც თითოეულ მათგანს სურს, ანუ რამდენის მოხმარა თითოეულ მათგანს შეუძლია. ეს არის მფლობელობა, და არა საკუთრება, ვინაიდან რა დღიდან მიწის მუშა შეწყვეტდა განსაზღვრულ ნაჭერზე მუშაობას, იმ დღიდან იგი კარგავდა მაზე ყოველგვარ უფლებას და ყველას შეეძლო იმავე ნაჭერით ესარგებლა. ასეთი წესწყობილების ნაშთს ჩვენ დღესაც ვხედავთ ჩვენში, მაგ., ქიზიყში იგი აქამომდე არსებობს, თუმც ძლიერ გადასხვაფერებულია ახალი წესწყობილების ზეგავლენით. მაგრამ ასეთი წესწყობილების დროს ჩდება და თანდათან ვითარდება მიწათ-მფლობელობის სულ სხვაგვარი სისტემა.

ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც პირველყოფილმა თემებმა მიწის შემუშავება იწყეს, იმ ტყეებს, რომლებიც მათ გაუწყნარებელი ომების დროს უვარდებოდათ ხელში, აღარ ხოცავდენ. ეს უკანასკნელნი ხდებიან მეომარ პირთა მონებათ, იმათ ასახლებენ თავისუფალ მიწაზე, მიწის შესამუშავებლათ და ყალდებულათ ხდიან მოსავლის განსაზღვრული ნაწილი იმათ სასარგებლოთ იხადონ. ასეთ მიწათმომქმედ—მონებს ჩვენ ვხედავთ კლასიკურ საბერძნეთში და განსაკუთრებით რომის იმპერიაში, მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ასეთ მონების საშუალებით რამდენიმე პირი იმ მიწის საკუთრებას ჩემობს, რომელზედაც ისინი დასახლებული იყვენ და რომელსაც ისინი ამუშავებდენ. გარდა ამისა იყვენ ისეთი უმწეო და უთვისტომო პირები, რომლებიც თავისი ნებით ყიდდენ პირად თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ეკონომიურათ უზრუნველყოფლობაზე მონობაში *). აქედან წარმოდგა საშვალ საუკუნოების ფეოდალური მიწათმფლობელობა. მართალია, ფეოდალური მიწათმფლობელობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენდა ის კანონი, რომ ყველა მიწა ფეოდალურ მებატონეთა, როგორც საერო, ისე საეკლესიო, საკუთრებას შეადგენდა—nulle terre sans senieur—მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალურ მებატონეთათვის უპირველესი მნიშვნელობა ქონდათ იმათ, ვინც იმათგან პირადათ დამოკიდებული იყო, ცხოვრობდა და მუშაობდა იმათ მიწაზე და იხდიდა იმათ სასარგებლოთ ღალას და ხარკს. მართალია, მიწა ფეოდალების საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ ამ საკუთრებას მხოლოთ მაშინ ქონდა მნიშვნელობა, როცა მაზე მიკრული იყო გლეხი; უამისოთ ფეოდალური საკუთრება კარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას. ამიტომ ფეოდალები ცდილობდენ დაესახლებიათ თავიანთ მიწაზე რაც შეიძლება მეტი გლეხი: გლეხთა სიმრავლე შეადგენდა იმათ ძალას, და არა ტერიტორიის სიდიდე. მეორე მხრით, ხშირათ ფეოდალების ხელში არ იყო იმ ბინების სრული განკარგულება, რომლებიც იმათ მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. იმ დროს მოქმედებდა ძლიერის უფლება. რომელიმე ძლიერ ფე-

*) М. Ковалевскій. Экономическій ростъ Европы და სხვ. შეს. გვ. XII.

ოდალს შეეძლო ერთისთვის სრულებით წაერთმია მიწა და სხვისთვის გადაეცა; ძლიერის თვითნებობა და ძალმომრეობა კანონი იყო. ხოლო სადაც ასეთი კანონი, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, სრული უკანონობა იყო გაბატონებული, იქ კერძო საკუთრების უზრუნველ ყოფა ყოვლათ შეუძლებელი იყო. ამნაირათ საშუალო საუკუნოებში ვერ განხორციელდა მიწის კერძო საკუთრება. ამისთვის საჭირო შეიქნა სულ სხვა პირობების არსებობა.

ქალაქებში მრეწველობის აღორძინებამ, ახალ ქვეყნების აღმოჩენამ ძირი გამოუთხარა ფეოდალურ წარმოებას და იმავე დროს საფუძველი ჩაუყარა მთელ თანამედროვე წესწყობილებას და კერძოთ ჩვენი დროის მიწის კერძო საკუთრებას. ახალი დროის კლასიკურ მხარეს წარმოადგენს ინგლისი, სადაც აი როგორ მოხდა მთელი ეს პროცესი „სოფლის მწარმოებლის, გლეხის, ექსპროპრიაცია, იმისთვის მიწის წართმევა,—აი მთელი ამ პროცესის საფუძველი. სხვა-და სხვა ქვეყნებში ეს ექსპროპრიაცია ღებულობს სხვა-და-სხვა ელფერს, და გაივლის სხვა-და-სხვა საფეხურს არა ერთნაირი თანდათანობით. მხოლოთ ინგლისში, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ მაგალითისთვის, იგი ღებულობს კლასიკურ ფორმას... სახელმწიფო ქონებათა სიყალბით გადაცემა, სათემო საკუთრების დაპყრობა, ფეოდალურ საკუთრებათა თანამედროვე კერძო საკუთრებათა ძალდატანებით გადაქცევა, რაც დაუზოგველი სისასტიკით მოხდა,—აი იდილიური საშუალებანი კაპიტალის თავდაპირველი შეგროვებისა. ამით დაპყრობილ იქნა ასპარეზი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის, მიწა შეუერთეს კაპიტალს და შექნილ იქნა თავისუფალ პროლეტარიების საჭირო დენა ქალაქის მრეწველობისაკენ". ამნაირათ მიწის კერძო საკუთრება ნაყოფია ბურჟუაზიული ხანის. წინანდელმა დრომ იგი არ იცის, ან თუ იცის, არა იმ სახით, რომელიც მან ჩვენ დროში მიიღო. იმავე დროს კერძო საკუთრება საფუძვლათ დაედო თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობას, რომლის მეოხებით სამაგალითო გაუმჯობესობა შეტანილ იქნა წარმოების ამ დარგში. „ერთი უდიდესი შედეგი კაპიტალისტური წარმოებისა— ამბობს ზევით დასახელებული ავტორი—მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეოხებით მიწათ მოქმედება ტოვებს ძველ, დახავსებულ და გამოუდეგარ წესს და ღებულობს წმინდა მეცნიერულ ხასიათს აგრონომიის გამოყენებით, რამდენათაც ეს შესაძლებელია კერძო საკუთრების ფარგალში; რომ იგი ერთი მხრით სრულიათ ათავისუფლებს მიწათმფლობელობას ბატონურ და მონურ ურთიერთობათაგან, და მეორე მხრით ყოფს მიწას, როგორც შრომის პირობას, მიწათმფლობელისაგან, რომელსაც აინტერესებს მხოლოთ განსაზღვრული გადასახადი ფულათ, რომელსაც იგი, მონოპოლიის წყალობით, ახდევინებს მრეწველს, ან ფერმერს... ერთი მხრით მიწათ მოქმედების ნაციონალურ ნიადაგზე დაყენებას, რომელიც შესაძლებლათ ხდის მის ფართო წარმოებას, და მიწის საკუთრების აბსურდათ გადაქცევა მეორე მხრით, წარმოადგენენ კაპიტალისტური წარმოების უდიდეს სამსახურს". იმავე დროს აი როგორ ახასიათებს იგივე ავტორი წვრილს საკუთრებას: „მიწის წვრილი საკუთრება თავისთავათ უარყოფს შრომის საზოგადოებრივ საწარმოვო ძალათა განვითარებას, შრომის განსაზოგადოებას, საქონლის მოშენებას, მეცნიერების გამოყენებას".

თუმც ასეთი მართალი ცვლილება მოახდინა, როგორც მეურნეობაში, ისე თვით მრეწველობაშიაც მიწის კერძო საკუთრების აღორძინებამ თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებით, მაგრამ მეორე მხრით მისმა მავნე მხარეებმა ჩქარა იჩინეს თავი, რის გამო მრავალი მეცნიერი მიეცა დიდ საგონებელს. სანამ ჩვენ გადავიდოდეთ მიწის კერძო საკუთრების მავნებელ მხარეებზე, მოვიყვანთ აქ ერთი ავტორის აზრს, რომელსაც ჩვენ სავსებით არ ვეთანხმებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი გაგვიადვილებს ჩვენ შემდეგში ჩვენი შეხედულების განმარტებას. ეს ავტორი არის ინგლისელი მწერალი [illegible], რომელიც 1865 წელს აი რას წერდა ამ საგნის შესახებ: „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დაწესებულებათა ყოველგვარი ღონისძიებანი მანამ ვერ მოიტანენ რაიმე შესამჩნევ ნაყოფს მიწის შემუშავების გაუმჯობესობაში, სანამ ასეთი გაუმჯობესობა უფრო გაადიდებს მიწის საკუთრების ფასს და ასწევს მიწის მფლობელის შემოსავალს (რენტას), ვინემ გააუმჯობესებს მეიჯარეს და დაქირავებული მუშის მდგომარეობას. მეიჯარემ ისე, როგორც მიწის მფლობელმა და თითქმის როგორც სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ, ძლიერ კარგათ იცის, რომ ქაობის ამოშრობა, დრენაჟი, მიწის კარგათ გასუქება და გონიერი მართვა გასაოცარ ნაყოფს მოიტანს, როგორც ნიადაგის გაუმჯობესობისათვის, ისე მოსავლის გადიდებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს თხოულობს დიდ ხარჯს, მეიჯარემ კი ძლიერ კარგათ იცის, რომ რაც უნდა მან გააკეთოს მიწა და ასწიოს მისი ფასი, დაბოლოს ეს სასარგებლო იქნება მხოლოთ მიწის მფლობელისთვის, რომელსაც ამით მიემატება შემოსავალი (რენტა) და აიწევს მისი მიწის ფასი." ამნაირათ კერძო საკუთრება წინ ეღობება მეურნეობის გაუმჯობესობას. მაგრამ იგი ქმნის ბევრათ უფრო შეუსაბამო და საზოგადოებრივი განვითარების შემზღუდველ პირობებს, ასე რომ მიწის კერძო საკუთრება, რომელიც ჩვენ დროში ყველაზე უფრო მკვიდრ და შეურყეველ დაწესებულებათ ითვლება, არ მართლდება არც ისტორიულათ და არც ლოღიკურათ. ამ პირობებზე ჩვენ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

მ. საუბრე.

(შემდეგი იქნება)

შინაური მიმოხილვა

არა ერთი სამრეწველო და სავაჭრო ამხანაგობა გაჩენილა ჩვენში. მარა ერთ ამხანაგობასაც ვერ დაასახელებთ ისეთს, რომ მკვიდრ ნიადაგზე იდგეს; ზოგი დაილუპა, ზოგიც დაღუპვიდან შორს არაა. იმერეთში დღემდის ასე თუ ისე ცნობილი იყო ორი ამხანაგობა. ერთია კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, მეორეა გურიის „შუამავალი". როგორც დღევანდელ ჩვენ გაზეთში წაიკითხავთ, 5 მაისს კუხის ამხანაგობას ქონდა საზოგადო კრება. ვერ იტყვის კაცი, რომ დამსწრე საზოგადოება ჯეროვანი ვამჭრიახობით და საჭირო სისასტიკით მოეპყრობოდეს საქმეს, მარა მაინც რაც გამოაშკარავდა, ისიც საკმარისია ამხანაგობის გამგეს დასახასიათებლათ. ჩვენი ამხანაგობის გამგენი სარგებლობენ წევრების გაუგებლობით, ან მათი გულგრილობით და სასარგებლო საქმეს პირს უკუღმა უბრუნებენ. ზოგი მათგანი ამას ჩადის პირადი სარგებლობისათვის, ზოგიც წესდებას გაურბის და თავის ოცნების მიხედვით მოქმედობს, ზოგიც პირად სარგებელსაც არ ივიწყებს და თავის ოცნებით შექნილ „პლანებსაც" მიდევს. სამივე შემთხვევაში ამხანაგობა ზარალობს, ხოლო გამგე შესაფერ პასუხსაც არ ღებულობს. ყველა ეს გამგენი დღემდის რაღაცა საოცარი უტიფრობით არიან შეპყრობილი. ბ. წერეთლის მოქმედებაც არაა ამ დაუდევრობისა და საზოგადო შეძლების დაუზოგველობისაგან თავისუფალი. ის მიუხედავათ ცუდი პირობებისა, ამხანაგების ნებადაურთველათ ყიდულობს ადგილობრივი ჩარჩებისაგან პარკს, უმატებს თავისას და მიემგზავრება საზღვარ-გარეთ. რატომ, რა მოსაზრებით? თვითონაც არ იცის. მოიგებს – კარგი, წააგებს —რა ენაღვლება? არც ბაზრის პირობები იცის, არც არაფერი. მაინც მიდის და მოგზაურობს საფრანგეთში. რასაკვირველია, ზარალი ნახა და ზარალი საგრძნობელი, მერე აღიარა თავისი

ეროვნული

შეცდომა თუ? სრულიათაც არა. ის თავის დღეში არ უღალატებს თავის უტიფრობას. აბა, წაიკითხეთ, „ივერიაში“ მისი წერილი. აბა, რა გვექნა, ქვეყანას არ უნდა გავაცნოთ ჩვენი თაიო? მორჩა და გათავდა. მოთხოვეთ ახლა თქვენი ზარალი. სწორეთ რომ საშიშ მდგომარეობაში იქნებოდა ამხანაგობის საქმე, თუ სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება არ მოშველებოდა. ამ წესდების ძალით ამხანაგობის საქმეებს აწარმოებს კოლეგიალური დაწესებულება, რამდენიმე კაცი, და აი კიდეც აირჩიეს გამგეს გარდა ორი დირექტორი. ახლა მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღარ შევიქნებით პირადი ინტერესების, გინდ ფუჭე ოცნებების მსხვერპლი და ამხანაგობა წესიერათ გაუძღვება თავის საქმეს.

* *
*

თუ ბ. წერეთელს, შედარებით უფრო გამოცდილს, საქმე უკეთ მიყავდა და თავსაც უკეთესათ იცავდა, მეორე გამგემ ბ. ქეიშვილმა საქმე უფროც წაახდინა, მარა თვითონაც ლელო ვერ გაიტანა. მიუხედავათ იმისა, რომ მას გაწიწმატებით იცავდა რამდენიმე მოქეიფე, თუ კანცელარიის მოხელე, მაინც ბოლოს წაიფორხილა, ჩაიჩოქა და კიდეც გამოასალმეს მის „შუამავალს“, რომელიც მას ასე შეუყვარდა. წარმოიდგინეთ, ჯერ ვერ მოიშორეს ხომ ეს ვაჟ-ბატონი. ახლა მოიშორეს, მარა ამასაც აღარ ჯერდებიან. განახლებული გამგეობა იწვევს დღეისთვის საზოგადო კრებას ლანჩხუთში, სადაც სხვათა შორის უნდა განიხილონ ამხანაგობის ყოფილი გამგის თვითნებური და საზარალო მოქმედება და მსჯავრიც დადვან. სწორეთ რომ დროა ასეთი ვაჟბატონების პარპაშობას ბოლო მოეღოს, ყოველი მათი ნაბიჯი კრიტიკულათ დაფასდეს, რომ შემდეგშიც ზოგიერთმა მსუნაგმა პირებმა არ გაწვადონ ხელი საზოგადო საქმეებისაკენ.

*
* *

ამას წინეთ მოხდა ერთი ახირებული კრება, ახირებული არა თავისი მიზნით, არამედ იმ მოულოდნელი შედეგით, რომელიც მას მოყვა. მე მოგახსენებთ ახლათ დაარსებულ „შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ კრებაზე. ვინ წარმოიდგენდა, რომ მოსწავლე ახალგაზდობის დახმარებაში რაიმე პარტიობა და ბრძოლა დაიბადებოდა? და ან რა იყო აქსაბრძოლველი. მარა სწორეთ ის გამართლდა, რაც წარმოსადგენი არ იყო. ჩვენი დელაყანდები აღიმართენ და გააშავეს სულ ყველა სომხები. ამოირჩიეს 5 ქართველი და ოთხი რუსი. მერე, გგონიათ, შერცხვათ თავისი საქციელის? სრულიათაც არა. აბა, დაეკითხეთ „განახლებულ“ „ივერიას“. რა არის სასაყვედურო, განზრახ რომ გავაშავეთ სომხებიო? და აქ სწორეთ ველიჩკოსებურ ღვარძლიან აზრებს გამოთქვამს. „ერთმა ქალაქიააშენა, მის დაცვაში თავისი სისხლი დაანთხია, მეორემ სისხლდანთხეულს მიეშველა; ამ დროს საიდამღაც გამოტყვრა მესამე, ორივეს წიხლი კრა და ქალაქის მებატონეთ გამოიჭიმა. განა ეს ამბავი მოსაშორებელი ჭორი არ არის?“ აი თურმე რა აწუხებს მოხუცს ბავშს. მერე სად იჩენთ ამ თქვენ სიძულვილს? დაწყნარდით, განახლებულო სიძველევ. წავიდა სისხლიანობის დრო. ახლა მოქალაქეობრივი ცხოვრების ხანაა. და ნუ წამოდგებით იქ თქვენი დახავსებული ფარხმალით, სადაც არამც თუ სარგებლობა არ მოგაქვთ, არამედ შეირცხვენთ თავს რეგვნული ქცევით, თავისი არარაობის და მოქალაქეობრივი გრძნობის სრული სიჩლუნგით. კარგი, რომ ეს სირცხვილი მარტო თქვენ თავზე რჩებოდეს. ძარა უბედურობაც ისაა, რომ მთელ ქართველობის სახელით გამოდიხართ, მარა მიუხედავათ თქვენი საქციელისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება თქვენ არ დაგიჯერებს, მიხვდება თქვენ სულმოკლეობას, ეცდება, შეცდომა გაასწოროს და ფრიად სიმპატიურ და ყველასთვის განურჩევლათ გვარ-ტომობისა და წოდებისა სასარგებლო და სატრფიალო საგანზე გულს არ აიცრუებს.

*
* *

მომავალ კვირას მოხდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრება, ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერია შარშანდელი კრების შთაბეჭდილება. საქმიანობა, მიუდგომელი კრიტიკა — აი რას ვხედავდით შარშან. და ვერავინ იტყვის, რომ საქმის ასე სერიოზულათ მოპყრობას არ ქონდეს თავისი მნიშვნელობა. რაც მცირედი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების ასპარეზი დღეს, იმის ხელში მაინცაა რამდენიმე ადამიანის ბედი. და ხომ მოგეხსენებათ, რომ სანამ ადამიანი არსებობს, სიმპატია-ანტიპატიაც არსებობს. ერთს იწონებენ, მეორეს აძაგებენ, ხოლო ხშირათ ეს მოწონება და ძაგება მეტათ უსაფუძვლოა და საქმის მავნებელი. ერთი მუდმივ შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს, მარა მას წყრომის მეტი არაფერი ხვდება, მერე ცუღლუტობს და ის პატივისცემაშია. ყველა ეს ჩვეულებრივია ჩვენში. ხოლო საზოგადო კრება ვალდებულია ყველაფერი ეს დააფასოს და სიმპატია-ანტიპატიები თავის კალაპოტში ჩასვას. გარდა ამისა საზოგადო კრება განიხილავს რამდენიმე საყურადღებო კითხვასაც, რომელიც არ იქნება უმნიშვნელო. ამიტომაც წევრების ყურადღება იქნება მხოლოდ იმის მაჩვენებელი, რომ ისინი აფასებენ საზოგადოების მოქმედებას. და ეს ყურადღება თვით გამგეობასაც მეტ სიცხოველეს, მეტ სიცოცხლის სურვილს გაუღვიძებს. მაშ დავრჩეთ დაიმედებული, რომ შარშანდებულათ წევრები მოისურვებენ საქმის ვითარება თავისი ყურით მოისმინონ და შესაფერათაც დააფასონ. ეს მით უმეტესათ მოსალოდნელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დაგვბრალდება კენჭობის თამაშობით გატაცება და არა საქმიანობით.

სხვა-და-სხვა ამბები.

ბათუმიდან გვწერენ, რომ აქაურ როტშილდის ნავთის ქარხანაში ამ დღეებში აპირებენ ხელ-ახლა მუშაობის დაწყებას. ქარხნის წინანდელი მართველი ბატ. ვანშეიტი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან და კიდეც წავიდა ბათომიდან. ქარხნის საქმეები დროებით ჩაიბარა ბატ. გიოს, რომელიც წინათ მსახურებდა ქ. გროზნაში, ნავთის ქარხნებში; ამასთან, ჩამოვიდა როტშილდის ბაქოს ქარხნების მმართველი ბ-ნი ფციგინი, რომელმაც გამოითხოვა მთავარ-მართებლისაგან ნებართვა, ძველ მუშებს მიცემოდათ ნება ბათომში დაბრუნებისა და ქარხანაში მუშაობისა. ამ ჟამათ კაცები ყავთ დაგზავნილი, რომ ძველი მუშები ისევ დაიბრუნონ, ჩამოიყვანონ სოფლებიდან და სამუშაო მიცენ.

გურიის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ სარევიზიო კომისია აცხადებს, რომ დღეიდან ამხანაგობის გამგეთ ს. ქეიშვილის მაგიერ ითვლება იოსებ ლაზარეს ძე ქუთათელაძე.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე, სხვათა შორის, გადაუწყვეტიათ: 1) დაარსდეს ს. წევაში (შორაპნის მაზრა) სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომლის დამაარსებელია ბ. სევ. გაჩეჩილაძე, და 2) საზოგადოების მორიგი კრება მოწვეულ იქმნას 19 მაისს.

თფ. პოლიციის ცნობებით, გასულ აპრილის განმავლობაში თფილისში მოხდა: კაცის დაჭრა—1, უბედური შემთხვევა—4, ქურდობა—14, ბავშის მიგდება—2, გაქცეულ ტუსაღის დაჭერა—1, წყალში დახრჩობა—1, გაუპატიურება—1, თავის მო-

კლა—1, უეცრათ გარდაცვალება—4, ცეცხლის გაჩენა—7.

„ნოვ. ობოზრ.“ ატყობინებენ ბათუმიდან, რომ იქაურ სადგურზე საქონლის გამზიდავ მოიჯარადრესა და მის მუშებს შუა ეს სამი დღეა დიდი უთანხმოება ჩამოვარდაო. მუშებმა საჩივრით მიმართეს გუბერნატორს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა საქმის გამოსაძიებლათ გაგზავნა მოძრაობის ნაწილის უფროსის მოადგილე ა. მ. ბულგაკოვი.

საოლქო სასამართლომ შეიწყნარა სოფ. ცახის (რაჭის მაზრა) მცხოვრების გლეხის მეტონიძის საჩივარი, მიუსაჯა მას რკინის გზების სამართველოსაგან 7500 მანეთი; მეტონიძე რკინის გზაზე მუშაობდა და ლოკომოტივმა თვალები დაუშა-ვა.

რედაქციამ მიიღო „პაწია და ბუნგლია“ სურათებიანი მოთხრობა ვ. ი. დიმიტრიევისა, თარგმანი დ. ავალიანისა. დედანი დაჯილდოვებულია ფრებელის საზოგადოებისაგან. ნათარგმნი კარგი ენითაა, ფორმატიც შვენიერი, მაგრამ ამისთვის წიგნაკი ძვირია—30 კაპ.

დღეს, 12 მაისს დაიწყებს მუშაობას თფილისის საქალაქო საყასბო.

ოთხშაბათს, 8 მაისს, სხდომა ქონდა კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოკადოების გამგეობას. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქნა ს. მ. ლავროვი, მის ამხანაგათ ნაფიცი ვექილი ლ. ი. შევალიე, მდივნათ ბ. ესაძე, ხოლო ხაზინადრათ ლ. ხიდეკელი. რადგანაც გამგეობის წევრმა ი. ს. ღულაძემ და გამგეობის წევრის კანდიდატმა თავ. გ. მ. თუმანიშვილმა უარი განაცხადეს თავიანთ თანამდებობაზე, ამიტომ გამგეობამ გარდასწყვიტა მათ ადგილზე ამოსარჩევათ დანიშნოს საზოგადო კრება ახლო მომავალში. ამავე კრებაზე უნდა ამოარჩიონ გამგეობის წევრთა კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრნი და მათი კანდიდატები. გამგეობა საზოგადო კრებას განსახილველათ წარუდგენს აგრეთვე ზოგიერთ წევრის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რამდენათ კანონიერი იყო ეხლანდელ გამგეობის წევრთა ამოსარჩევათ შემდგარი საზოგადო კრება 27 აპრილს.

კორესპონდენცია.

ქუთაისი. (ქალაქის საბჭო). ერთ ჩვენ წერილში ქუთაისს „უპატრონო ქალაქი“ ვუწოდეთ, დასამტკიცებლათ ერთი მაგალითიც მოვიყვანეთ. 29 აპრილის საბჭოს მორიგი სხდომაც ამ უპატრონობისა, შეუძლებლობისა და უმოქმედობისადმი ჩივილს წარმოადგენდა. ათიოდე საკითხში, რომელიც მოხსენდა საბჭოს, მხოლოთ ორია ყურადღების ღირსი.

პირველი საკითხი შეეხებოდა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას ეკლარის საშენი ქვის მადნების ექსპლუატაციის შესახებ. ხსენებული მადნები დღემდის ქალაქს იჯარით ქონდა გაცემული, რომელიც—როგორც ჩანს—მოიჯარადრეებს თვალსაჩინო მოგებას აძლევდა. და აი სწორეთ, რომ ეს თვალსაჩინო მოგება ქალაქის კასაში დარჩეს და კერძო ჩარჩებმა არ ისარგებლონ—როგორც დღემდის—გამგეობის წევრს ბ. გველესიანს საბჭოში მოხსენება შეაქვს: მადნები თვითონ ქალაქმა აწარმოვოს; მართალია, პირველ წლებში საქმის მოწყობა ხარჯებს მოითხოვს, მოგების მაგიერ იქნებ ზარალიც კი ვნახოთ, მაგრამ ამას შემდეგი წლები გამოიყიდის, ეს ყოველ ახლათ დაწყებულ საქმეში ასეა და მას ნურც ჩვენი ქალაქი შეუშინდებაო. მაშინ უმეტესობა უარზე იყო, ისევ კერძო პირებს დარჩესო. ბოლოს მცოდნე პირებისგან კომისია ამოირჩიეს, რომელსაც უნდა გაესინჯა მადნები, აეწონა მოსალოდნელი ზარალ-მოგება და თავის დასკვნა საბჭოსთვის წარედგინა. კომისიამ აღასრულა მინდობილება და 29 აპრილის სხდომას წარუდგინა [illegible]. კომისიის წევრთა უმეტესობა—მათ რიცხვში [illegible]—იმ აზრის იყვნენ, რომ მადნების საკუთრათ წარმოება ქალაქს დიდ შემოსავალს უქადის, ქვის მოთხოვნილება მატულობს და კონკურენციასაც ვერავინ გაუწევს, რადგანაც ისეთი ხარისხის და ფერის ქვა, როგორიც ეკლარის მადნებში, მახლობლათ ძვირათ მოიძებნებაო. ბ. მ. დარახველიძე—წევრი ამავე კომისიისა—რომელიც აქვე უნდა შევნიშნოთ—მზათ არის ქალაქის მთელი ქონება ერთ მშვენიერ დღეს იჯარით გაცეს, არ ეთანხმება უმეტესობას და თავის საკუთარი აზრი შემოაქვს საბჭოში: მიეცეს ისევ ძველ მოიჯარადრე ანანოვს, ქალაქმა მხოლოთ თავის ზედამხედველი იყოლიოს მადნებში, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მოიჯარადრის მოქმედებასო. ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. პრინციპიალურათ თითქმის ყველა თანახმაა, რომ მადნები ქალაქმა აწარმოვოს, მაგრამ ამავე დროს გრძნობს თავის სისუსტეს, გამგეობის შეუძლებლობას და აცხადებს: კარგი, აწარმოვოს ქალაქმა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოგების მაგიერ ზარალს ვნახავთ. უმეტესობის აზრს არ ეთანხმება ერთი ხმოსანთაგანი, ჩვენ ზარალი ან მოგება კი არ გვაინტერესებს, ჩვენ მოვდივართ საბჭოში მხოლოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე მოვრჩეთ ქალაქის საქმეებს, ყოველისფერი იჯარით გავცეთ; მე არ გამეგება, რის მაქნისია ქალაქის გამგეობა, თუ კი ყოველისფერს მოიჯარადრეებს მივცემთ; რაც ცოცხალი და სარგებლიანი საქმეა, რაც შრომას და ცოდნას თხოულობს, ყოველისფერს ხელიდან ვიშორებთ, ასე რომ ქალაქის გამგეობა კანცელარიათ გადიქცა, სადაც ქაღალდები შედის და გამოდის. თუ ქალაქის პატრონობა არ შეგვიძლია, უმჯობესია ჩვენი თვით მართველობა საქვეყნოთ გაკოტრებულათ გამოვაცხადოთო. კენჭის ყრით მადნების წარმოება ქალაქს დარჩა. მეორე საკითხი ქალაქის აფთიაქის ახალ ადგილზე—თფილისის ქუჩაზე—გადატანას შეეხებოდა. აქამდის აფთიაქი დაშორებული იყო ცენტრს, რაც ბევრ მსურველ მუშტარს უკარგავდა, თუმცა ქალაქის აფთიაქში წამალიც უფრო ახალია და ფასებიც ნაკლები, ვიდრე კერძო აფთიაქებში. კრება ერთხმათ დათანხმდა გადატანაზე.

ჩვენი ქალაქის მამები თვეში მხოლოთ ერთხელ იკრიბებიან, თუმცა სხდომა ყოველ ორშაბათობით არის დანიშნული. პირველ ორ სხდომაზე ჩვეულებრივათ 10—12 კაცზე მეტს ვერ ნახავთ მოსულს და ესენიც ისეთებია, რომლებსაც ბულვარში ჯდომა მოწყინდა და გასართობათ საბჭოში წამოვიდენ. მაგრამ კრება არ დგება და ისევ ბულვარში ან კლუბში მიეშურებიან; კლუბი მათ იღბლათ გამგეობის დარბაზის ზედა სართულშია, რაც გასართობათ მოსულ ხმოსანს შეძლებას აძლევს მოსწყენი ხმოსანთა კამათი მიატოვოს და შუა სხდომაზე იქ გაიქცეს კრება ათის ნახევრამდის არასოდეს არ იწყება, თავდება 11-ზე, ასე რომ ჩვენი, „დაღლილი“ მამები ქალაქისთვის თვეში მხოლოთ $1^1/_2$ იმეტებენ.

Parole.

ეწერის საზოგადოება. (ქუთ. მაზრა). შარშანდელი მოუსავლობით შეშინებულნი სიხარულით მოველოდით გაზაფხულის მოახლოვებას და ვფიქრობდით, წლეულს მაინც არ დავრჩეთ იქნებ უნუგეშოთ თქვა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. გაზაფხულმა ვერაფერი სანუგეშო მოგვიტანა. ჯერ გვალვებმა და შემდეგ ხანგრძლივმა წვიმებმა მეტათ შეგვიშალა ხელი მუშაობის დაწყებაში. საშინელმა სიცივეებმა და ქარ-ყინვებმა დააზარალა ხეხილები და მოწვა თუ სადმე იყო ვენახები. როგორც იყო, ვეღირსეთ გამოდარებას აპრილის უკანასკნელ რიცხვებში, მაგრამ კიდევ გვალვები დაიჭირა. ყველა სასოწარკვეთილებაში არის ჩავარდნილი და იმედ დაკარგული გაიძახის: „შიმშილი აუცილებელია ჩვენზედო“, და ამის მეტი მაინც რაღა დაგვრჩენია თუ არ შიმშილი. ჩვენი ყოფა ცხოვრება სიმინდის მოსავალზე იყო დამყარებული და ისიც ხელიდგან გამოგვეცალა.

ღვინის მოსავალმა თუმცა დიდი ხანი თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ ბევრს ნაკეთები ქონდა და ბევრმაც წლეულს მიყო ხელი ამერიკული ვაზის გაშენებას და ისიც გაფუჭდა. სიმინდის ფასი ძლიერ აიწია: ფუთი სიმინდი ცამეტ—თოთხმეტ შაურში იყიდება და ხშირათ საყიდელსაც ვერ შოულობს სოფლათ კაცი, რადგან იაფობაზე ჩარჩვაჭრებმა გაზიდეს სოფლიდან. ცოტა რამ სარგებლობა აბრეშუმიდგანაც მოდიოდა ჩვენ კუთხეს, მაგრამ ამის იმედიც დაგვეკარგა, ჯერ თესლის შოვაც გასაჭირი იყო და ვინც იშოვა და გამოიყვანა, ისიც დაზიანებულია სიცივეებისაგან, და თუ არა და, გვალვებს მაინც ვერ კადურჩება, ან ჭიანჭველებს, რომელნიც ერთობ ბევრია ყოველ ოჯახში.

აგერ თითქმის ექვსი—შვიდი თვე იქნება, რაც საზოგადოებამ და კერძოთ სოფელმა იანეთმა არსებული ორი ერთკლასიანი სასწავლებლის ორკლასიანათ გადაკეთების თაობაზე განაჩენი დაადგინა, მაგრამ ჯერ არაფერი ისმის სამინისტროსაგან ამ განაჩენის დამტკიცების შესახებ. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი სამოსწავლო წელიწადი!

თითქმის ოთხი ხუთი-წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც სოფლის მამასახლისებს დაევალათ მთავრობისაგან, რომ მასწავლებლების ჯამაგირი სრულათ მთელის წლის შეეტანათ ხაზინაში და მასწავლებლებს ხაზინიდან მიეღოთ. ამ განკარგულებას ბევრი მამასახლისი ასრულებს და თავის დროზე შეაქვს ხაზინაში ჯამაგირები, მაგრამ ბევრი კი, თუმცა საზოგადოებას სრულათ ახთევინებენ, თავის ჯიბეში ინახავენ და როგორც უნდა, ისე ათამაშებენ და ხშირათ თავის დროზეთ მასწავლებლებსაც არ აკმაყოფილებენ. ამის მიზეზი უმეტესათ მამასახლისები არიან, მაგრამ რამოდენიმე ნაწილი კი თვით მასწავლებლებიც, რადგან უკანასკნელნი თხოულობენ მთავრობის წინაშე: „სიშორის გამო არ შეგვიძლია ყოველთვის ჯამაგირისთვის ხაზინაში ვიაროთ და ქნებ ნება მამასახლისს აქ მოგვცეს ჯამაგირიო“. მთავრობაც ნებას აძლევს და ამით მამასახლისები სარგებლობენ და ხშირათ თავის დროზე მასწავლებელსაც არ აკმაყოფილებენ ვითომ და იმ მოსაზრებით, რომ მათ აღარ შეუძლიათ ხელახლათ ითხოვონ ჯამაგირის შეტანაო. ან რა უნდა ქნან სოფლის მასწავლებლებმა! ბევრი იძულებული ხდება ზემორეთქმულათ მოიქცეს, რადგან ზოგი მასწავლებელი ისე დაშორებულია ქალაქზე, რომ მგზავრობისათვის ხუთი-ექვსი მანეთი უნდა დახარჯოს ერთი და ორი თვის ჯამაგირის მისაღებათ და ეს ხომ სულის ამორთმევაა ღარიბ მასწავლებლისათვის, ამას ზედ დაუმატოთ ის გარამოება, რომ, როდესაც მასწავლებელი თავისუფალია, მაშინ ხაზინიდან ჯამაგირს ვერ მიიღებს და სამუშაო დღის გაცდენა მაზარალებელი იქნება მისთვის და თუ გააცდინა, ისიც ნება დაურთველათ შეუძლებელია და ამის მიწერ-მოწერისათვის დრო და ხანი საჭიროა. ისევ ამდენ წვალებას თავს ანებებს და იძულებული ხდება მამასახლისის ხელიდან მიიღოს ორიოდე გროში და აქაც კიდევ მრავალი გაჭირვება მოელის, სანამ აიღებდეს. ნუ თუ არ შეიძლება უკეთ მოეწყოს, რომ მასწავლებელმა ჯამაგირი თავისუფლათ და თავის დროზე მიიღოს! ამაზე სასურველი იქნება, თვით მასწავლებლებმა იზრუნონ, გამონახონ წყარო საქმის უკეთ მოწყობისა, ამოიღონ ხმა და მაშინ მთავრობაც მიაქცევს ყურადღებას და იქნებ ვედირსოთ ყოველივე დაბრკოლების თავიდან აცილებას.

ა. ნაცვალი.

ს. მათხოჯი. (ქუთ. მაზრა). ჩვენ სოფელში ქურდობა ამ ხანათ ძალიან გავრცელდა. ღღისით არ შეუძლია ადამიანს უშიშრათ გაუშვას საქონელი საბალახოთ, განსაკუთრებით ცხენის-წყლის პირათ. როგორც კი დაინახვენ ბოროტ-მოქმედნი საქონელს მდინარის პირათ, ეგრევე ქურდულათ გაიტაცებენ ცხენის-წყალს გაღმა და მერე შვიდობით... ერთ ფრიად ღარიბ მოსახლეს აღდგომა დილას გადაუშვია მისი მასაზრდოებელი ერთი უღელი ხარი და მაშინვე უგზო-უკვლოთ დაკარგულა. ნეტავ რას დაზოგავდენ უბედურს? „ავი კაცი აღდგომასაც ავია“. ასე რამდენს აუტირეს გული ამ ხვნა-თესვის დროს! ვის ცალი ხარი მოპარეს, ვის უღლათ, ვის ძროხ[illegible]. მარა საკვირველი ეს არის, რომ დაკარგული საქ[illegible] ფასი ქურდს გადაუხადე (ე. ი. იყიდე მეორეთ) დაგიბრუნდება. აი როგორ: როგორც კი დაეკარგება გლეხს საქონელი, თავ-ქუდმოგლეჯილი გარბის მეგრელებისაკენ და თხოვს: „მიშველეთ, ეგება ჩემი საქონელი ნახეთო?“ ქურდი მაშინვე თამამათ მიუგებს: „კი, პატრონი, შენი საქონელი მე ვიცი, ვისა ყავს და თუ მომცემ 30—40 მანეთს, დაგიბრუნებს, თუ არა და დაიკარგე აქედანო“. (რასაკვირველია, საქონლის დასაბრუნები ფასის მოთხოვა საქონელზე არის დამოკიდებული იმაზე, კარგია თუ ცუდი). თუ აუსრულე სურვილი რასაც გთხოვს ქურდი, თვარა ცარიელი უნდა დაბრუნდე. რასაკვირველია; ყველას არ შეუძლია თავის საქონლის მეორეთ ყიდვა სიღარიბის გამო და ეკარგებათ. ასეთი მაგალითები ბევრი მოხდა ჩვენს სოფელში, მარა არავინ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს, რის მიზეზათ მე ვთვლი იმას, რომ სოფლელებს ეშინიათ გაამჟღავნონ ქურდები, რათა სულ არ გაანადგურონ; მარა სანამდის სურთ ასე მონურათ ყოფნა კი არ ვიცი! განა მამასახლისს არ შეუძლია სოფელი დაიფაროს, ბოქაულს შეეხვეწოს და ზომები მიიღოს ქურდებიდან დასაცველათ? მარა ჩვენ მამასახლისს ჯერ ძინავს, თუ ქურდების გაცხადების ეშინია, კი არ ვიცი! მაინც საკვირველია, რათ უნდა ეშინოდეთ ამ კაცებს ქურდებისა; ისინიც ხომ ადამიანებია, გავახსენებ მათხოჯლებს, რომ ბატონ-ყმობა უკვე მოკვდა, არ არის და თვითონ ნუ იჩენენ ბატონებს, ნუ უხდებიან მონებათ ქურდ ბაცაცებს! თუ თითონ არ ძალუძთ თავის დაფარვა, თხოვონ ბოქაულს, ხონი ახლო აქვთ. თუ ასე არ მოიქცევიან, ვარწმუნებ მე მათ, რომ უფრო ბევრ ხარჯს დაადებენ მათ ქურდები და მერე ეძიონ.

ვ. მალაქიაშვილი.

პერევისას საზოგადოება (შორაპნის მაზრა). პერევისას საზოგადოება შესდგება რამდენიმე პატარა სოფლისაგან. მცხოვრებთა რიცხვი 750 აღემატება. მდებარეობით იშვიათათ მოიპოება შორაპნის მაზრაში ისეთი სოფლები, როგორც პერევისას საზოგადოების საუცხოვო საგარაკო ადგილებია. ზაფხული სამოთხეა, ზამთარში კი უზარ-მაზარ მთის კალთებზე, აქა-იქ ღელეებში ჩაფენილი და პატარა მთის ბორცვზე გაშენებულ უბნებთა მცხოვრებნი მეტათ შეწუხებულნი არიან მძლავრ ყინვებისაგან.

პერევისას საზოგდაოებაში დიდი ხანია, რაც არსებობს ერთკლასიანი სკოლა, რომელიც ჟამთა ვითარებისაგან დახავსებულა და ობობას ბუდეები კლასის კუნჭულებში გაბმულან, მაგრამ მძლავრ სტიქიონს უფრო თავისი მსხვრევა-მტვრევა თავს და ტანს დაუტეხია. ფანჯრის მინები (სულ ათი ფანჯარაა, კლასი დიდია) დაუმსხვრევია და ზოგიც, ადამიანის ხელს დაუკონკებია. იატაკი, თუმცა აქ შემახასავით მიწის ძვრა არ ყოფილა და ცეცხლ მფრქვევს არ ამოუხეთქია, მაგრამ წრუწუნა თხილიპარია შვილებს და ვირთაგვებს დიდათ და ბევრგან ამოუღრნიათ სანავარდო-სასუსნელათ, სადაც შეგირდი, ფრთხილათ თუ არ არის, ფეხს მოიტეხს. ჭერს მშიერი მგელივით პირი დაუღრენია და ღამის ჩამოწვეს, პარტების შავი სალებავი გახუნებულა „ჩინოვნიკის ფრაკივით“ და საცოდავი დაფა ჭინჭილაქებზე ძლივს-და დგას. ეს საუცხოვო სცენა წარმომიდგა მაშინ, როდესაც ვესტუმრე ჩემ ნაცნობ მასწავლებელ ალექსანდრე ტაბუკაშვილს, რომელსაც ოთახი სკოლის გვერდზევე აქვს. თავმდაბლათ და მოწიწებით მიამბო მან ამ სკოლის წარსული, რომელიც დავიწყების სავანეში განისვენებდა აქამდის და აწმყო მისი გაკვეთილი გადმომიშალა და თავი ცოტა არ იყო „იქო“.—მე, ეს ერთი წელია წადია, რაც ვმასწავლებლობ, და რაც შეეფერება, ისე ვასწავლი შეგირდებს და გამოვიყვანე იმ ბნელ ოთახიდან (ვითომ სწავლიდანაო), სადაც ეს შეგირდები იმყოფებოდენო. აქ გახლდათ წინათ ერთი ქართველი მასწავლებლათ, რომელიც მასწავლებლობდა რამდენიმე წელს და ეს დაობებული სკოლა იმან გადმომცა მეო. არც საანგარიშო ჩოთ-

ქი, არც ხეირიანი მინები; ქ. ი. დაუმტვრეველი მინები, არც კარი, რომელიც შუა გატეხილი იყო წინათ, მე შევაძინეთ და რადგანაც მე აქ დროებით ვარ გამოგზავნილი, ოთახის „დასაპატრონებლათ“ არა ვზრუნავთ, რადგანაც იმდენი ღონეც არ შემწევს, რომ ჩემი ფულით გავკეთებინო და ჯერევისს მცხოვრებნიც ყურადღებას არ აქცევენ და მასთან არც სკოლის მზრუნველის ყურის მგდებელიო. შეგირდებთა რიცხვი სამოცამდეა, მხოლოთ გაზაფხულდება თუ არა, ნახევარიც აღარ დაიარება, რადგანაც სახლში დედ-მამა საქმეს უჩენს და არა სკოლაში. ეხლა ოცდა ათი შეგირდია, მათ შორის 15 აზნაურიშვილისაა, რომელნიც თითო-თითოში იხდიან ხუთ-ხუთ მანეთს, ეს ფული ნახევარი მასწავლებლისაა და ნახევარს სკოლას ახმარებენ.

ამ მდგომარეობაშია ჯერევისს საზოგადოების მცხოვრებნი ამ მეოც-ეს ერთე საუკუნის განთიადზე და როდისღა შეიგნებენ სწავლა განათლების საჭიროებას?!.

კ. ფრონისპირელი.

*
* *

ოხ! მახსოვს, მახსოვს, როს უბედობით
გარემოცულნი ვიყავთ მდუმარე,
და გულს გვიღრღნიდა შავი ფიქრები,
მიუწდომელი მიზანი მწარე.
ვისხედით მტკვრის პირს გულჩათხრობილნი
და თვალს ვავლებდით მიდამო არეს:
ხან ცას შევცქეროდით, ხან დედამიწას,
ხან მტკვრისა ტალღებს მშფოთავ მგვინვარეს.
დაგვცქეროდა ნაზათ მკრთალი ნათელი
და თან სხივებით იმოსებოდა.
ჩრდილისა ნაცვლათ მისი წინწკლები
მთისა მწვერვალებს ეფინებოდა.
ჩვენ კი დუმილით გარემოცულნი
არას ვამბობდით, არ ვძრავდით ენას.
მხოლოთ ნიავის წყნარი ჩურჩული
და ბულბულთ კვნესა გვიტკბობდა სმენას.
ოჰ! მახსოვს მახსოვს, ნეტარი წამი
დამატკბობელი, სასიხარულო,
რომელმაც გული ცეცხლ აგზნებული,
მარად მტირალი უსიხარულო,
გამიცისკროვნა წამის შვებითა
ტანჯული გულის გასახარებლათ.
დამიდგა სარკე და დამანახა,
რომ კვლავ არსებობს სიწრფელე ქვეყნათ.
მაგრამ ის წამიც განქრა და გული
კვლავ მწარე სევდამ მომიცვა ბედ-კრულს,
აწ არ მახარებს ეს მოგონება
ეჭვებით დასჯილს, რწმენა დაკარგულს.

დარია ხუნდაძე.

სურათები ჩვენი ცხოვრებიდან.

ვანო და მარო.

ა.

— ღმერთო... რა ბედნიერნი ვართ?! აღელვებით წამოიძახეს მუშტაიდის ბაღის ერთ განმარტოვებულ სკამზე მჯდომარე ვანო და მარომ და ერთმანეთის ტუჩებს თავდავიწყებით დაეკონენ.

— ჰმ! ამოიკვნესა იქვე, მათ მახლობელ ბუჩქზე მყოფმა ბულბულმა, ხმა ამოიწმინდა და მოყვა გულწარმტაც გალობას: კილო კილოს მოაბა, ჰანგი ჰანგს ჩააგრიხა და თითქოს მეტის სიამოვნებით თავ-ბრუ დაესხაო, საოცნებოთ ჩარაკრაკდა. ბუნებამ სული განაბა, მხოლოთ ვანოსა და მაროს მტლაშა-მტლუში არღვევდა მიდამოს სიჩუმეს.

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ? მეათასეთ შეეკითხა ვანო მაროს, მერე ქალის ლამაზი სახე ორივე ხელებით თავისკენ მოიზიდა და თვალებში ჩააცქერდა. მაროს თვალები ... ... პტარავით ანთებულიყვენ, ვნებათა ღელვით ... ... ყვენ, და ვანომ რამდენიც არ უმზირა შიგ, ვერაფერი აღმოიკითხა იმის მეტი, რომ მიბნედილნი ემუდარებოდენ: „ჩამკოცნე, რა დროს ამოცანის ამოკითხვაა!“ ვანოც ერთხელ კიდევ დაეწაფა ამ თვალებს ისე მხურვალეთ, როგორც მონადირისაგან დამფრთხალი, მაგრამ სამშვიდობოს გასული ხარირემი გულის გასაგრილებლათ დაეწაფება ხოლმე მთის ანკარა წყალს.

— ვიცხოვროთ ბედნიერათ, დღეის შემდეგ ხომ ერთმანეთის ვართო! ჩურჩულობდენ ქალ-ვაჟი.

— დიახ, დიახ! დაუშტვინა ახლა მეორე მხრიდან იადონმა და უზრუნველათ აყვა თავისსავე ხმას. გალობდა დიდხანს, ხმა შეწყობით და სანეტაროთ, თუმცა კი ვერ გაუკებდით, ტიროდა თუ იცინოდა ხმა-რაკრაკა ჩიტუნია, აზრიანოპას თუ თავ-დავიწყებას უგალობდა ასე საამოთ, ანგელოზებსა თუ ეშმაკებს ადიდებდა, ღმერთსა სწირავდა მადლსა თუ ბუნებას. ვინ იცის, იქნება თავის მუცელსაც ჩატიროდა? მაგრამ არა! ისეთი მშვენიერი ღამე იყო, რომ მუცელი რა სახსენებელია! ლურჯათ მოკამკამე ცის სივრცეში მთვარე ბატონივით ამაყურათ მისრიალობდა და გზა-გზა ოქროს სხივებს აფრქვევდა. შურით ფერწასული ვარსკვლავები ჩამოკლოდენ გზიდან მთვარესა და შორს, ცის—ტახტზე შეჩერებულიყვენ. საოცნებოთ გაქათქათებული ცა გარინდებული გადმოყურებდა ძირს დედამიწას, რომელსაც განთიადის მოლოდინში მიძინებოდა და მთვარის შუქით გულ-მკერდ მოქარგული მშვიდათ ფშვინავდა. ღამის ნიავი თავს დაღიღინებდა, ხე-ტყე ნანას დაჩურჩულებდა თავის დედა მშობელს, ყვავილ-ბალახნი სურნელებას უკმევდენ, ხოლო განზე გამდგარი მთები დარაჯათ დადგომოდენ მძინარე ქვეყანას და ფიქრში წასულნი შუბლ-შეკრულნი გამოიყურებოდენ. არც კვნესა, არც მწუხარება, არც ოხვრატირილი, არც შიმშილ-წყურვილი, არც დამცირება და ძალმომრეობა, არც თვალთ-მაქცობა და ვერაგობა, არაფერი ამისთანა აღარ გაახსენდებოდა კაცსა, პირ-იქით, ამ დიადი ბუნების მომზერალი ადამიანი, მარტო უმნიშვნელო, ბუნებისსულ უბრალო ქმნილებათ თუ წარმოიდგენდა თავს, იმ გვარ გონივრულ ქმნილებათ, რომელიც იმიტომ არის გაჩენილი, რომ ბუნების სიდიადეს, მის ჰარმონიას ხელი შეუწყოს და თავის გაიძვერაობით თავის მზგავსებს სიცოცხლე არ მოუწამლოს და გაჩენის დღე არ აწყევლინოს, იცხოვროს მშვიდათ და დატკბეს, დატკბეს ყოველივე სიკეთით!..

სტკბებოდენ მარო და ვანოც, მაგრამ ბუნების სიდიადით კი არა, თავისი „მე“-თი და თავისი სიყვარულით. ამ ჟამათ სხვა გარეშე არა სუფევდა რა მათთვის. „შენ და მე, მე და შენ“. ამ ორ სიტყვაში იხატებოდა მთელი მათი სულის-კვეთება, მთელი მათი აწმყო და მომავალი... რაც კი ქვეყანაზე საალერსო სიტყვებია, ერთმანეთს უძღვნეს და მაინც ვერა ძღებოდენ ერთმანეთის ცქერით და ხელი-ხელ გადახვეულნი გვრიტებივით ღუღუნებდენ.

მოწყინდა ბულბულს შტვენა და იქვე ბუჩქებში მიეძინა. ქვეყანას ღრმა ძილი დააწვა. მთვარემ გაიარა თავისი გზა, ცამაც ცოტა ხანს თვალი მოხუჭა, რომ განთიადს ფერ-მკრთალი არ დახვედროდა, ხოლო მარო და ვანო ისევ ერთ ადგილას ისხდენ და ერთმანეთის მზეს ფიცულობდენ...

ბ.

ადამიანის სიცოცხლე—ერთი დამთქნარებაა, რადგანაც დრო-ჟამის სრბოლას არ ვაფასებთ და დღე და თვეები უმნიშვნელოთ, უაზროთ გვეპარება ხოლმე თვალსა და ხელ შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი გავიდა ზემორე აღწერილ ღამის შემდეგაც. რამდენჯერმე გამოიცვალა სახე დედა-მიწამ და იმდენჯერვე არდაირია ბუნების სიცივე-სიწყნარე, მაგრამ 188... წლის დეკემბერში რომ სიცივე და უბედურება დაატყდა ქვეყანას, იმისთანა არ გაგონილა. საშინელი ყინვებისაგან დედამიწა ზნედიანივით ცახცახებდა. ისე შეეშინებია ამ ზამთარს მთელი ქვეყანა, რომ გაზაფხული სიოცნებოთ ეჩვენებოდათ, მზის სხივები—საარაკო ამბათ და სითბო—საზღაპროთ. საცოდავათ კანკალებდენ ღარიბები, ხოლო მდიდრები კი მგონი ბევრს არასა დარდობდენ.

სიცივისა და ჯავრისაგან წელში მოხრილი ვანო გულხელ დაკრეფილი და თმა-აბურძგნული, ჩქარის ნაბიჯით დარბოდა თავის ოთახში და მწარეთ დაღვრემილიყო. ამავე ოთახში ტახტის ბოლოზე ჩამომჯდარიყო გაბუტული მაროც და სახე მოღუშული საწვიმრათ მომზადებულ ცასა გვანდა. პირი ეშმაკებისკენ წაეღო, ვანოსთვის ნახევრათ ზურგი შეექცია და ტუჩებ წამოშვერილი, სახიდან შეშლილიყო. ოთახიც არეულდარეული მოჩანდა.

— მაშ ასე უნდა ვიჩხუბოთ ჩვენი დღენი! ამის მეტი საქმე აღარ გვქონია, რაღა! კბილების კრაჭუნით წამოიძახა ვანომ და განზე გაიხედა... სიღარიბე, სიღარიბეა ყველა ამის მიზეზი—ამოიგმინა კიდევ ვანომ—მე რო ფული მქონდეს, ყველას ძაღლივით თითო ლუკმას მიუგდებ და გავაჩუმებ... გაგაჩუმებ შენ ქალბატონო კარგ ჩაგაცმევ, კარგ დაგხურამ, გაგიყვან გამოგიყვან და მაშინაც იღრინებ? ხომ ამაზეა თანამედროვე „ბედნიერება“ აგებული!... ამას ეძებს ახლანდელი „სიყვარულიც“; მე კი... მე სულ სხვა მეგონა...

— ხმა ჩაგიწყდეს, თუ ენა მუცელში არ ჩაიგდო. თვალების ბრიალით გააწყვეტინა მარომ. და შეტევით უთხრა—კმარა, ნუღარ ამაყბედებ, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.

— ჰმ! ამოიგმინა ვანომ და ფეხს უფრო აუჩქარა.

— ზმუკი! მიაძახა მარომ,

— შენ თავსა და კისერს! წაიბურტყუნა ვანომ და დაფიქრდა. დიდხანს მიდი-მოდიოდა ვანო დაღონებული. მიდი-მოდიოდა მანქანასავით, ისე თავის უნებურათ. ბოლოს ხელები ჩამოუშვა და მწარეთ გადიხარხარა.

— უცუნა! აფთარივით მივარდა მარო—შენ რო სინიდისი გქონდეს რა გაქვს ერთი გასაღრეჭი!?

— გინდა გითხრა რაზედაც ვიცინი, თუმცა კი ვაი ამისთანა სიცილს.

— ოღონც კი ხმა ჩაიწყვიტე და შენი არ მინდა რა. მე შენ მოგახსენო ფილოსოფიას იტყვი, აი! დასცინა მარომ.

— ფილოსოფია კი რა ჩვენებური ქალების საქმეა, მაგრამ...

— ჰა, კიდევ დაიწყე! პირიდგან სიტყვა გამოაცალა მარომ, მე შენ გეუბნები ქალებზე ლაპარაკს თავი დაანებო და ემ შენ ცინგლიან თავს მოუარო.

— მადლობას მოგახსენებ დარიგებისათვის, ჩამოართვა სიტყვა ვანომ, მაგრამ ერთი ეს მითხარი, ახლა გავხდი ცინგლიანი, თუ აქამდისაც ვიყავი? გახსოვს, ქალბატონო, ჩვენი შეხვედრა... მთვარიანი ღამე... ბულბულის სტვენა-გალობა... ჩვენი ერთმანეთისადმი ალტაცება... აი რამ გამაცინა,—მგონი მას შემდეგ ძლიერ დიდი ხანი არ არის გასული... ნაწყვეტ, ნაწყვეტათ და ირონიული კილოთი ლაპარაკობდა ვანო.

— ოი, ჩაქცეულიყო ის დღე და საათი, რომ მე შენ არ გადაგკიდებოდი! მაშინ სულელი ვიყავ და ახლა...

— ახლა კი საბრძნე კბილები ამოგივიდა, განა? დასცინა ვანომ.

— ხმას აღარ ჩაიწყვეტავ, შე ქოფაკის შვილო! შეურაცხყო მარომ და თვალებიდგან წინწკლები წამოყარა.

— რა მეტი გზა მაქვს... უნდა გავჩუმდე, თუ ჩემი [illegible] ნაშაულო დედმამის შემკობა არ მინდა, მაგრამ [illegible] გახსოვდეს, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ და ეგრე უშვერათ არ უნდა ილანძღებოდე, აუმაღლა ხმას ვანომ და ცოლს დაუბღვირა.

— ცომი დაგეკრას მაგ თვალებზე, შე გაუნათლებელო, ხეპრე. მე შენი ცოლი კი არა, ამხანაგი უნდა ვყოფილიყავ, მაგრამ არც ერთის მოვლის თავი კი არ გაქვს, შე უმსგავსო.

— რა გაეწყობა! დღეის შემდეგ უნდა ეგ ახალი ტერმინი ვიხმარო, თორემ საუკუნოებით შემოღებული სიტყვაც საჩხუბარი გაგვიხდება! გესლიანათ სთქვა ვანომ და მხრები აიწია.

— ოხ, შე გველო! დაიღრიჭა მარო და ზეზე წამოიწია.

— ნუ სწუხდებით, დაბძანდით და დამშვიდდით, ჩემო ანგელოზო, ჩემო პირთაფლო და პირ-შაქარავ—ხელის გაწოდებით დაიწყო ვანომ—მხოლოთ ნება მიბოძე ერთხელ კიდევ გაგიმეორო, ჩემო ნაზო და სუსტო არსებავ, ჰაეროვან ქმნილებათა წარმომადგენელო, რომანების დამამშვენებელო, სიყვარულის ქმნილებავ, სიცოცხლის ნექტარო და უკვდავების წყაროვ, ნება მიბოძე მეთქი მოგახსენო, რომ ქალები (ათასში ერთის გარდა) საუკუნოპითა ხართ გემოვნება გარყვნილნი, მშვენიერთა ხელმწიფანო, და დაწყით დაბადებიდგან ტიკინებათ განმზადებულნო, თქვენივე გამათახსირებელის მამა-კაცების საუბედუროთ ისევ ტიკინებათვე რჩებით, თუნდა ოცდა ოთხი კლასიც გაათავოთ... ჩვენში ნამდვილი დედაკაცი იშვიათია და ტვინ-ამღვრეულ ხალხს კი აბა რაში მოეწონება უბრალო მუშა... დიახ, სრულიად მართალს მოგახსენებთ, თქვენმა სიცოცხლემა... ორ აზროვანათ და კილო მობმით გააბა ვანომ (რადგანაც ასე უფრო აბრაზებდა ხოლმე მაროს) და ვინ იცის, როდის მოიოხებდა გულს, მაგრამ მოთმინებიდგან გამოსულმა მარომ დაავლო ერთ ვეებერთელა წიგნს ხელი (რაღაც სტასტიკური გამოკვლევა იყო) და გესლიანათ მოლაპარაკე ქმარს შიგ შუბლში სტკიცა... დარეტიანდა საბრალო ვანო, ხოლო ვიდრე გონს მოვიდოდა, მარო მეორე ოთახში გავარდნილიყო და პირქვე დამხობილი სიბრაზისაგან მწარეთ ქვითინებდა...

ციც...

პასუხათ ბ-ნ კალამს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნ კალამს არ მოწონებია ის მწვავე და სამართლიანი სიტყვები, რომლებიც ჩვენ მის შესახებ წარმოვთქვით. თავის თავზე სიმართლის გაგონებას იგი იმ ზომამდე გაუბრაზებია, რომ მან აღარც კი იცის, რა სახელით მოგვნათლოს ჩვენ; წარმოიდგინეთ, ამისთვის ბ. კალამი საშუალო საუკუნოებშიაც კი გამგზავრებულა, საიდანაც გამარჯვებული დაბრუნებულა, ვინაიდან იქ უპოვნია ის, რაც ჩვენი დროის სალანძღავ ლექსიკონში არ მოიპოვება: გარდა ყოველგვარი უზნეობისა, ბ. მოსაუბრე „ინკვიზიტორი“ არისო,—გამოაცხადა მან. ე. ი. ჩვენ ინკვიზიტორი ვყოფილვართ იმიტომ, რომ უარვყავით და დავგმეთ ბ. კალამის და მის მსგავსთა მიერ წამოყენებული პრინციპი ქალაქის არჩევნების შესახებ თფილისში. მაგრამ საქმე ის კი არ არის, სალანძღავი ტერმინი ეძიო, არამედ შენი მოწინააღმდეგის აზრი დაარღვიო. და აი, ბ. კალამის სამწუხაროთ, სწორეთ ეს პუნქტია, სადაც იგი აშკარათ ღალატობს თავის თავს. ბ. კალამი ჩვენ გვიკიჟინებს, ვითომც ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვყავდეს ჩვენი შეხედულების სასარგებლოთ და მხოლოთ ლანძღვა-გინებით ვკმაყოფილდებოდეთ. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის კვლევა-ძიებას, თუ ვის უფრო ედება ამაში ბრალი. ვთქვათ ორიოდე სიტყვა მხოლოთ საქმეზე.

ბ-ნმა კალამმა, აღიარა რა, რომ ქართველებსა და სომ-

ხებ შორის ეროვნული ბრძოლა, ანტაგონიზმი, არსებობ-ო, გამოაცხადა, რომ ქალაქის მომავალ არჩევნებში ქართველებმა უნდა ეცადონ ქართველები აირჩიონ, ე. ი. საარჩევნო დროშაზე დააწერა ეროვნული პრინციპი. ჩვენ უარვყავით და დავგმეთ ეს პრინციპი და სამაგიეროთ ვამბობდით, რომ არჩევნების დროს ამრჩევლებმა საჭიროა დაივიწყონ თავისი ეროვნება და გვარტომობა და თავისი წარმომადგენელნი აირჩიონ იმის მიხედვით, თუ რის დამცველნი და რის გამტარებელნი იქნებიან ეს უკანასკნელნი საზოგადო საქმეებში. ამ ორ პრინციპს შორის ჩვენ მორიგება შეუძლებლათ მიგვაჩნია: ან ერთი უნდა მიიღო, ან მეორე. რომელს ღებულობს ბ. კალამი? წინანდელ წერილებიდან ეს ყველასათვის აშკარა იყო. საპასუხო წერილშიაც ამასვე ღაღადებს, მხოლოთ შემდეგ შენიშვნას უმატებს: „მაგრამ იმის თქმა, რომ ქართველები აუცილებლივ უნდა ვიქნეთ არჩეულნი, სრულიათ იმას არ ნიშნავს, რომ უნდა იქნას არჩეული ყოველი ქართველი, მიუხედავათ იმისა, ავია იგი, თუ კაი"-ო. ამნაირათ, როგორც ხედავთ, ჩვენ კრიტიკას ის გავლენა გამოუჩენია ბ-ნ კალამზე, რომ მას „ორ სკამ შუა" მოუწადინებია ჯდომა. თუ ეს მას სასიამოვნოთ და მოხერხებულათ მიაჩნია, დაგვილოცნია მისთვის ასეთი „პოზიცია"!

ბ. კალამი ამბობს: „ბ. მოსაუბრე გვეუბნება, ვითომც ჩვენი (ე. ი. ბ. კალამის. მ.) თეორია ეროვნებათა ჩაყლაპვის თეორია იყოსო". შემდეგ ამისა, იგი ჩვენ ასეთი სიტყვებით მოგვმართავს: „გვიჩვენეთ და დაგვიმტკიცეთ, სად გამოვთქვით ჩვენ ეს აზრი, რომელსაც ზემოთ გვაწერთ, გვაჩვენეთ ეს და საჯაროთ ალვიარებთ ჩვენ უნიჭობას და უგუნურებასაო"! ჩვენ კი გვგონიათ, რომ ბ. კალამს სრულებით არ მიუცია თავის თავისთვის არავითარი ანგარიში, როცა ასეთ აღთქმას დებდა. თორემ ცოტაოდენი რომ დაფიქრებულიყო, განა ასეთ საშინელ აღთქმას იგი დადებდა? მაგრამ უფრო გასაშტერებელი ის არის, რომ როგორც გოგოლის ერთ მოთხრობაში უნტერაფიცრის ცოლმა გაიშოლტა თავი, ბ. კალამიც ისევე ჩადის: ბ. კალამს თითონვე მოყავს თავისი უგუნურების (არ ვიტყვით: უნიჭოპის, ეს მეტის-მეტი იქნება) საბუთი (ალბათ გაახსენდა უნტერაფიცრის ცოლის როლი!) „ჩვენ ალვიარებთ ეროვნულ ანტაგონიზმსო," —ამბობს იგი; მაგრამ რადგანაც ეს ციტატა მას არ დაუბოლოვებია, ამიტომ მოვიყვანოთ აქ დანარჩენი მისი სიტყვებიც: „ყოველი ერის წევრი მიილტვის „თავისიანებისადმი", ცდილობს „თავისიანების ამორჩევას, ყველა ამბობს: ჩვენ—ჩვენ ვართ, თქვენ—თქვენ! კაცობრიობას ჯერ არ გაუვლია ეს ხანა. დღეს ეს აუცილებელია, კანონიერი და საჭიროცო". ეს ხომ სიტყვიერია, და საქმით კი ეს ეროვნებათა ჩაყლაპვის თეორიაა და მეტი არაფერი. თუ ბ. კალამს არ ესმის თავისივე სიტყვების მნიშვნელობა, ეს ჩვენი ბრალი არ არის.—დასასრულ ერთი შენიშვნა კიდევ.

„ცნობის ფურცლის" იმავე ნომერში, რომელშიაც ჩვენი საწინააღმდეგო წერილია მოთავსებული, ბ-ნ ჯორჯაძის მეთაური წერილია დაბეჭდილი. როცა ჩვენ ბ. ჯორჯაძის წერილი წავიკითხეთ, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მის ავტორს მხოლოთ ბ. კალამის ქვედა სართულში მოქცეულ წერილის უარყოფა მოუსურვებიაო. სწორეთ მოგახსენოთ ბ. ჯორჯაძე სასტიკათ ამათრახებს ბ. კალამა და ჩვენ მხოლოთ ის გვაკვირვებს, რომ ერთ და იმავე გაზეთის ერთ და იმავე ნომერში როგორ მოხთა ასეთი სასურველი მწყობრი თანხმობა! მაგრამ უნდა იცოდეთ რომ საზოგადოთ გასაკვირალია, ის „ცნობის ფურცლისთვის" ჩვეულებრივია! რაც ყველასათვის ულოღიკობას ნიშნავს, ეს ამ გაზეთის „ლოღიკას" შეადგენს! ბ. ჯორჯაძე ხსენებულ წერილში „ჩვენიანების" არჩევის თეორიას დემოკრატობას უწოდებს და ძლიერ სამართლიანათაც. მაგრამ პატივცემული ავტორი ამით ამათრახებს არა თუ იმავე გაზეთის ქვედა სართულში მოქცეულ კოლლეგას, არამედ [illegible] ვინაიდგან თვითონაც ამასვე ქადაგებდა წინეთ [illegible] ამ პუბლიცისტის საქმე: ჯერ ქადაგებს ერთნაირ შეხედულებას, და როცა შემდეგში თავისი ქადაგების ნაყოფს ხედავს, მაშინ უკან მიიწევს და იმალება, ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. სწორეთ, რომ შესაბრალისია მისი მკითხველები.

მოსაუბრე.

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ.

საფრანგეთი. გაზეთ Matin-ს მოყავს საყურადღებო ცნობები, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ რა ცვლილება მოხდა პარტიებთა შორას ახალი არჩევნების შემდეგ. სოციალისტებმა (გედისტებიც თუ მივათვალეთ მათ) მოიგეს ერთი ადგილი, მართებლობის მომხრე რესპუბლიკანელებმა-სამი ადგილი, რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა-13 ადგილი, ნაციონალისტებმა-24 ადგილი, მელინისტებმა დაკარგეს-36 ადგილი. ამ ნაირათ მთავრობის მომხრე დეპუტატთა რიცხვს მოემატა 22, სამინისტროს მოწინააღმდეგეთა რიცხვს მოაკლდა 12, მაშ საერთოთ სამინისტროს უმრავლესობას მოემატა 34 ხმა. სულ ყველა პარტიებიდან წააგეს მხოლოთ მელინისტებმა; ორი მესამედი მათ მიერ დაკარგულ ადგილებისა დაიჭირეს ნაციონალისტებმა. მთავრობის მომხრე პარტიებიდან საგრძნობელათ გაძლიერდენ რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები. ამგვარათ საზოგადო არჩევნებს აი რა შედეგი მოყვა: 1) მთავრობამ გაიმარჯვა; 2) ნაციონალისტებს გაუცრუვდათ იმედები, რადგან ისინი გაძლიერდენ არა სამინისტროს მომხრე პარტიების დასუსტებით, არამედ მელინისტების, ესე იგი ოპოზიციის; 3) მელინისტების პარტია სასტიკათ დამარცხდა; 4) სამინისტროს უმრავლესობის ცენტრი გადიხარა მარცხნით. Matin-ის გამოანგარიშებით, ახალ პალატას შეადგენენ 43 სოციალისტი, 233 რადიკალი და რადიკალ-სოციალისტი, 62 მთავრობის მომხრე რესპუბლიკანელი, 127 მელინისტი, 35 ralliés, 5 მთავრობის წინააღმდეგი რადიკალი, 43 ნაციონალისტი და 41 რეაქციონერი. ამ ნაირათ მთავრობის მომხრე პარტიას ექნება 338 ხმა, ოპოზიციას კი 251 ხმა; მთავრობა სჯარბობს ოპოზიციას 87 ხმით.

საშინელი კატასტროფა მარტინიკის კუნძულზე. ამერიკაში მარტინიკის კუნძულზე, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, იფეთქა საშინელის ძლიერებით და ამოხეთქა ცეცხლის ფრქვევმა მთამ, ვულკანმა და ქალაქი სენ-პიერი და სამი სოფელი იმსხვერპლა. ვულკანს დაუწყია მოქმედება 20 აპრილს. ჯერ ამოვარდნილა ვულკანიდან ფერფლი და მიდამოები დაუფარავს. ქვესკნელიდან ისმოდა რუევა. პირველში არავითარი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ორ დღეს ყველაფერი დაწყნარებული და დამშვიდებული იყო. მაგრამ ოცდა სამ აპრილს ვულკანიდან ადუღებული ტალახი გადმოდინდა და 24 და 25 ყველგან მიწის ძვრას გრძნობდენ. წყალში გაყვანილი სატელეგრაფო მავთულები დაწყდა. მარტინიკის ვულკანმა დაიწყო მოქმედება, საშინელი სიძლიერით ამოხეთქა და ცეცხლის წვიმამ ქალაქი სენ-პიერი და სამი სოფელი დაფარა. დაიღუპა 40.000-მდე ადამიანი.

სამ საუკუნის განმავლობაში კუნძულ მარტინიკზე ცხრამეტჯერ მოხდა მიწის ძვრა. უძლიერესი იყო 1657, 1766 და 1839-ში. გარდა მიწის ძვრისა მარტინიკზე ხშირათ იცის ციკლონებიც. 1780-ში ციკლონმა 1000 სული იმსხვერპლა და ასი სახლი დაანგრია. 1891-შიაც საშინელი ციკლონი იყო: ფორდე-ფრანსში თითქმის ყველა სახლები დაინგრა; ორმოც სოფელზე მეტი მოისპო; დაიღუპა ოც-და-ათი გემი და ხუთასზე მეტი სული. 50 წლის წინათ მარტინიკის ვულკანმა დაიწყო მოქმედება, მაგრამ სუსტათ და დიდი ზარალი არ მიუყენებია მცხოვრებლებისათვის. ნახევარი საუკუნის შემდეგ ვულკანმა ისევ გაიღვიძა და ამ გაღვიძებას მოყვა ისეთი უბედურება, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს.

ცნობილ გეოლოგ ჯონ მილნის აზრით, ეს საშინელი ამოხეთქა ვულკანისა შემდეგ მიზეზის გამო მოხდა: წყალი ბლომათ ჩასულა მიწის ქვეშ და მიუღწევია გაღნობილ ნივთიერებამდე, რომელიც მიწის შუა გულში არის; ეწ დიდძალი წყალი ერთბაშათ ორთქლათ ქცეულა, განვითარებულა საშინელი ენერგია და ვულკანსაც ამოუხეთქია.

მარტინიკის ეხლანდელი უბედურება ბევრათ უფრო საშინელია, ვიდრე ყველა სხვა ცნობილი კატასტროფები, როგორც, მაგალითათ—ჰერკულანუმის და პომპეის დაღუპვა 79 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ; ეტნას ამოხეთქა 1666 წელს სიცილიაში და სხვა. 1883 წ. კრაკოტოას ვულკანის ამოხეთქამ დაღუპა ოცი ათასი სული, მარტინიკანზე კი ეხლა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 40 ათასამდე დაიღუპა.

ინგლისი. ამას წინეთ ლონდონში დიდი დემონსტრაცია მოახდინეს პურის გადასახადთა წინააღმდეგ. სადემონსტრაციო პროცესიებში მონაწილეობა მიიღეს მუშათა კავშირებმა, საურთი-ერთო დამხმარებელ საზოგადოებებმა, დემოკრატიულ ორგანიზაციებმა. პროცესიებმა მუსიკით და დროშებით გაიარეს ქუჩები. ჰაიდ-პარკში მრავალი სიტყვა წარმოუთქვამთ. ორატორებმა საშინლათ გაკიცხეს სამინისტრო და იმისი ახალი პროექტი.

— ინგლ-სის ქვეშევრდომ კუნძულ მალტის მცხოვრებნიც ირლანდიელო პოლიტიკას დაადგენ. ამას წინეთ ადგილობრივ საკანონმ-, ლო საბჭოს გადაუწყვეტია, ფული არ გადადოს და არავითარი მონ წილეობა არ მიიღოს იმ დღესასწავლებში, რომელიც მეფის გვირგვინის კურთხევის გამო გაიმართება. მიზეზათ ის დაუსახელებიათ, რომ ინგლისი ავიწროვებს მალტასო. როგორც ვუწყით, ჩემბერლენმა მოისურვა მალტაზე მშობლიური ენის გაუქმება და ინგლისურის შემოღება.

საფრანგეთი. „ტან"-მა, „ჟურნალ-დე-დებამ" და სხვა გაზეთებმა დაბეჭდეს ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, რომ ვალდეკ-რუსსოს კაბინეტი თავს ანებებს სამსახურს. სარწმუნოთ მიაჩნიათ, რომ ახალ კაბინეტის მოთავეთ ლეონ ბურჟუა იქნება.

რა არის მოდა?

დადგა მაისი... ბუნება იღვიძებს და ათასნაირათ იშლება მისი წარმტაცი სახე... გაიფურჩქნა მრავალფეროვანი ყვავილები და მიდამოს მოფინეს მათ თვისი სუნნელება... ამწვანდა მთები, ამწვანდა ველი... ტყე შეიმოსა ნორჩი ფოთლებით, რომლებსაც ცელქი ნიავი საამურათ არხევს, თითქო მისი შრიალით ყველას აცნობოს ბუნების განახლება, ბუნების გაღვიძება...

იღვიძებს და ათასნაირათ იმოსება ბუნება... მაგრამ არა ნაკლებ იმოსება მისი ღვიძლი შვილი—ადამიანი! აი, გაიხედეთ თუ გინდ ამ წამსა, როგორ ყველა სხვა-და-სხვა ნაირათ ეწყობა, სხვა-და-სხვა ფერათ იმოსება... დადგა ეგრეთ-წოდებული „მოდის" დრო...

მაშ ზედ-მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვით მოვილაპარაკოთ ამ მოდაზე! რა არის მოდა და რის გამომხატველია იგი?.. აი კითხვა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ამ წერილში *)... დავიწყოთ აბა!..

ადამიანის ბუნება ერთი წამითაც არ არის შეჩერებული ერთსა და იმავე წერტილზე... ის ნიადაგ მოძრაობს და ნიადაგ იცვლება... ხან მოძრაობს, ხან ისვენებს; ხან მუშაობს, ხან ჩერდება... დაახლოვებით ამნაირათვე ხდება ჩვენ სულიერ მდგომარეობაშიაც... ჩვენი გონება თხოულობს საზოგადო ცოდნას რომელიმე საგანზე; მაგრამ ამასთანავე მას უნდა გაიგოს მისი უკანასკნელი წერტილი, მისი ყოველნაირი წვრილმანი. ჩვენი გრძნობა ხან თხოულობს მშვიდათ დამორჩილებას ადამიანთა ხელ ქვეშ, ხან კი გვიწვევს მათთან ენერგიულ ბრძოლისათვის... ჩვენი ზნეობა კმაყოფილდება ხან მაშინ, როცა ჩვენი „მე" დაახლოვებული და დამსგავსებულია სხვებთან, ესე იგი, როცა ის გაერთიანებულია საზოგადო წრეში; ხან კი, პირიქით, ჩვენი ზნეობრივი გრძნობა მაშინ კმაყოფილდება, როცა ჩვენი პიროვნება განსხვავებულია სხვებისაგან, გამოცალკევებულია საზოგადოებისაგან. ერთი სიტყვით, ჩვენი ბუნება შედგება სხვა-და-სხვა ნაირ მოძრაობათაგან, რომელნიც ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებიან და მით სავსეთ და მრავალფეროვნათ ხდიან ჩვენს სიცოცხლეს დაბადებითგან სიკვდილამდე. თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია. სიტყვიერათ გამოვხატოთ უკანასკნელ სიმთა მოძრაობა ადამიანის ბუნებისა; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ მათი საერთო ტონი, მათი საერთო მიმართულება... და აი კიდეც, ჩვენი ბუნების მაგვარი მოძრაობანი შესაძლოა გავანაწილოთ ორ უმთავრეს ნაკადულათ: ერთი მხრით, პიროვნება მიისწრაფის საზოგადო გაერთიანებისაკენ, მეორე მხრით—კერძო გამოცალკევებისაკენ... კაცობრიობის განვითარებაც ამ ორი გზით მომდინარეობდა: თუ ერთი მხრით ის იცავდა ყველა მას, რაც რომ მიელო წინანდელი განვითარებით, მეორე მხრით მას კიდეც არღვევდა ახალ გზისათვის, ახალ თვისებისათვის. ავიღოთ მაგალითათ თუ გინდ ბიოლოგიური განვითარება ორგანიზმისა. აქ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ყოველი ორგანიზმი იცავდა და იცავს მას, რაც რომ გადმონაცემი აქვს მემკვიდრეობის კანონით ჩამომავლობისაგან; მაგრამ ამასთანავე ის ისწრაფოდა და ისწრაფის ნიადაგ ცვალებადობისაკენ, ახალი თვისების შეძენისაკენ... ამ რიგათ, რა ნაირათაც კი უნდა შევხედოთ ადამიანის ბუნებას, ჩვენ მაშინვე შევამჩნევთ, რომ ის ისწრაფის ხან საზოგადო გაერთიანებისაკენ, ხან კერძო გამოცალკევებისაკენ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადო გაერთიანება, ანუ ერთმანეთის დამსგავსება გამოიხატება წაბაძვაში. თუ ცოტათ მაინც დავაკვირდებით ადამიანთა დამოკიდებულებას, მაშინვე თვალწინ დაგვესახება ერთიმეორის ბაძვა. ეს უკანასკნელი ბევრს რამეში გამოიხატება: ლაპარაკს, სიარულს, მიმიხვრას, ზნე-ჩვეულებას, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენს მოქმედებას წაბაძვის დაღი ასვია. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი რამე, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ბაძვის საგნათ არ გადაიქცეს... ამგვარი გავრცელება წაბაძვისა აიხსნება იმ სარგებლობით, რომელიც მას აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს სარგებლობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ წაბაძვის დროს არ გვეხარჯება შემოქმედებითი ძალა და არ ვკარგავთ დროს რამეს გამოგონებისათვის... ჩვენ წინ გვხვდება მზა ნიმუში, რომელსაც მიბაძვით სისწრაფით და ადვილათ ვითვისებთ... ამასთანავე წაბაძვა, მეორე მხრით მფარველობაცაა: ჩვენ ვბაძავთ მას, რაც რომ საყოველთაოთ მიღებულია, და ამ შემთხვევაში—ასე რომ ვთქვათ—ჩვენ საზოგადოების მფარველობას ვიღებთ... საზოგადოება გვაძლევს მზა ნიმუშს, მაგალითათ ყოფა-ქცევისას, და ამით კიდეც გვათავისუფლებს კერძო პასუხის-გებისაგან... ამგვარათ, წაბაძვა აკმაყოფილებს ჩვენი ბუნების ერთ მიდრეკილებას, სახელდობ—საზოგადოებაში გაერთიანებას, ერთი-მეორის დამსგავსებას... მაგრამ ის ვერ აკ-

*) ამ წერილს უდევს სარჩულათ ცნობილ გეორგ ზიმელის სოციოლოგიური ეტიუდი „მოდის ფსიხოლოგია". რადგან ამ ეტიუდში ერთი და იგივე აზრი ბევრჯერ არის გამეორებული, ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ თავისებურათ გადმოგვეკეთა იგი, მით უმეტეს, რომ ამით ენაც შედარებით მსუბუქი და ადვილი გასაგები ხდება.

გ. რ.

მაყოფილებს ჩვენ მისწრაფებას განსხვავებისაკენ, კერძო გამოცალკევებისაგან... და აი, აქ იჩენს თავს მოდა თავისი მრავალფეროვნობით! ის ერთ მხარესაც აკმაყოფილებს და მეორესაც... თუ რა ნაირათ, ამას გავიგებთ შემდეგით...

ავიღოთ პირველათ ჩვენი მიდრეკილება ერთი-მეორის დაახლოვება—დამზგავსებისაკენ... ამ შემთხვევაში მოდა (რამდენათაც ის არის გამოწვეული წაბაძვისაგან) გვამოქმედებს ისე, როგორც სხვები მოქმედობენ. თუ ვინმე იცვამს მოდის შესაფერ ტან-საცმელს, - ჩვენც იმგვარათვე ვეწყობით. შამოვიდა მოდაში თუ არა ახალი მიხვრა-მოხვრა, ახალი ყოფა-ქცევა,— ჩვენც მას მივდევთ, ჩვენც ისე ვიქცევით. მაშასადამე, მოდა გვამზგავსებს ერთი-მეორეს და მით კიდეც გვაახლოვებს და გვაერთებს საზოგადოებაში. ეს ერთი მხრით. ავიღოთ ახლა მეორე მხარე ჩვენი ბუნების მიდრეკილებისა, სახელდობ, ჩვენი მისწრაფება განსხვავება—განცალკევებისაკენ... ამასაც რომ მოდა აკმაყოფილებს! ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიქცევით ისე, როგორც შარშან დი შარშან წინ ვიქცეოდით. თუ უწინ რომელიმე განსაზღვრულ ტან-საცმელის ფორმას ვიცვამდით, ახლა ის აღარ გვაინტერესებს და სულ—სხვა გვაქვს მხედველობაში... ამნაირათვე ხდება ყველა სხვა მოქმედებაშიაც... ეს ითქმის მოდაზე, თუ მთელ საზოგადოებას ვიქონიებთ სახეში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოდა უმეტეს ნაწილათ კლასიური და წოდებრივია,—ასე რომ ერთ კლასს ერთი მოდა აქვს, მეორეს—მეორე, ერთს წოდებას—ამნაირი, მეორეს—სხვა ნაირი და ასე ამნაირათ... მიუხედავათ ამისა, მოდა აქაც ის არის, რაც სხვაგან. თუ ერთი რომელიმე კლასის ან წოდების წევრები მოდის წყალობით ერთი-მეორეში დაახლოვებული და გაერთიანებული არიან, მეორე მხრით ისინი მისივე წყალობით გარჩეული და გამოცალკევებული არიან სხვა რომელიმე კლასის ან წოდების წევრებისაგან... ასე რომ მოდა აქაც აკმაყოფილებს ჩვენი ბუნების ორგვარ მიმართულებას... ამ შემთხვევაში ის საუკეთესო გამოხატვაა საზოგადოების სხვა-და-სხვა კლასებათ და წოდებათ დანაწილებისა. მზგავსათ იმისა, თუ როგორ უწინ პატიოსნება მხოლოთ ერთ წოდებას ეკუთვნოდა და მარტო მას ახასიათებდა, მოდაც ამნაირათვე ერთ რომელიმე კლასს ან წოდებას ახასიათებს... ჩვენი ყოველგვარი მოქმედება, ტანისამოსი, ესტეტიური მსჯელობა, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი სიცოცხლე მოდის შეცვლასთან თვითონაც იცვლება და სხვაფერდება. პირველათ მოდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, „ახალი მოდა“ ხდება უმაღლეს საზოგადოების წრის ხვედრათ. ამით მისი წევრები ცალკევდებიან მდაბალი ხალხისაგან, თვითონ კი ერთი-მეორეს უახლოვდებიან... ამისათვის, როგორც კი მდაბალი წრის ხალხი გადაიღებს მათგან ამ ახალ მოდას, მაღალი წრის წარმომადგენელნი მაშინვე სტოვებენ მას და მიისწრაფიან სხვა მოდისაკენ... ამნაირათ ხდება წოდებათა შორის... მაგრამ, თუ რომელიმე საზოგადოებაში წოდებათ დაყოფა არ არსებობს, მაშინ მოდა ნახულობს თავს თემობრივ გარჩევაში. ზოგიერთ ველურ თემებზე ჩვენ გადმოგვცემენ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ერთგვარ პირობებში ცხოვრობენ, მათ უმეტეს ნაწილათ მოდა სხვა-და-სხვა ნაირი აქვთო. აქ მოდა აახლოვებს ერთი-მეორეში განსაზღვრულ თემის წევრებს და ამასთანავე ასხვავებს და აცალკევებს მათ სხვა თემის წევრებისაგან... ამნაირათ მოდა, სადაც კი არსებობს ის, ყოველთვის ხატავს, ერთი მხრით, დამზგავსებას სხვებთან და მეორეთი—მათ განსხვავება-განცალკევებას... ამისათვის თავის თავად იგულისხმება ის გარემოება, რომ იქ, სადაც არ არსებობს ამგვარი მიდრეკილებანი, იქ არც მოდას აქვს ადგილი. ამას ნათლათ ამტკიცებს ბევრი ველური ხალხის მაგალითი, სადაც მოდა უმოძრავო და ერთსა და იმავე წერტილზეა დიდხანს მიყინული. პირ-იქით, განათლებულ ერში, სადაც ცხოვრება ნიადაგ დუღს და მოძრაობს, მოდაც მოძრავია და კიდეც დღით-დღე იცვლება... იქაც [illegible] ყვე-ლას ძულს მიბაძვა და ყველა მიისწრაფის [illegible] არც იქ არსებობს მოდა. ამისდა მიხედვით 1390 წელს ფლორენციაში, რასაკვირველია, რომ არ იქნებოდა მოდა მამა-კაცთა ტანსაცმელზე, რადგან ყოველი მათგანი იცვამდა ისე, როგორც რომელიმე წამს მოეხასიათებოდა.

ამნაირი დაკმაყოფილებით მოდა აყოყოჩებს და თითქო წინ აყენებს მდაბალ და დაწვრილმანებულ პიროვნებას. ეს უკანასკნელი გრძნობს მაშინ თავის თავს მთელი ჯგუფის წარმომადგენელათ და ამისათვის მოდასაც აჭარბებს უკიდურეს ხარისხამდე.. თუ მოდათაა შემოღებული მაღალი საყელოების ტარება, - მაშინ იმგვარი ფრანტი მას თითქმის ყურებამდის იკეთებს. თუ გავრცელებულია ვიწრო შარვალი, — მაშინ ის ამ უკანასკნელს ისე გააკეთებიებს, რომ მთლათ ქონდეს ტანზე შემოსხვეტილი. თუ შემოიღეს მოდათ წირვა-ლოცვაზე სიარული, — მაშინ ის დილიდგან სალამომდე ეკლესიაში იქნება ხოლმე და სხვა. ამნაირათ მოდის გავრცელებაში ეს პირი მიდის ყველაზე წინ და პირველი შეხედვით კიდეც გეგონებათ, ვითომ ის უკვლევდეს გზას საზოგადოებას. მაგრამ, როცა დავაკვირდებით, ჩვენ მაშინვე შევნიშნავთ, რომ ის მხოლოთ გადაჭარბებული გამომხატველია მისი, რაც რომ უკვე შემოღებულია საზოგადოებაში—და მეტი არაფერი...

მოდის წარმოშობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინმემ რა გამოიგონა. საკმაოა სულ ცოტათ შეიცვალოს ან მიემატოს მას, რაც რომ უკვე აღიარებულია მოდათ, რომ გაჩნდეს ახალი მოდა. ეს ყოველთვის ასე ხდება, მხოლოთ უმრავლესობის შეუმჩნევლათ. მოდის გამომგონებელიც ორნაირათ კმაყოფილდება. ერთი მხრით, ის ცალკევდება სხვებისაგან და აქ კმაყოფილებას პოულობს მისი გრძნობა გარჩევისა, ორგინალობისა, ყველას ყურადღებას იქცევს. მეორე მხრით, მას ბაძავს ყველა და ამისათვის კმაყოფილდება მისი გრძნობაც სხვებთან დაახლოვებისა და გაერთიანებისა.

ავიღოთ ახლა ქალები და კაცები, რომელნი უფრო არიან მოდით გატაცებულნი? რასაკვირველია რომ ქალები! და ეს ადვილი ასახსნელია... ქალები არიან ძლიერ მსუბუქი არსებანი... ამისათვის პირადი გრძნობა მათში თითქმის სულ ამოშლილია... ისინი ერთი-მეორეს უფრო ემზგავსებიან, უახლოვდებიან, ვიდრე მამა-კაცები. აქედგან, ისინი ერთი-მეორეს უფრო ბაძავენ, ესე იგი, უფრო მისდევენ ახალ მოდას...

ამრიგათ, მოდის შინაარსი გამოიხატება იმაში, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა ყოველთვის მას იცავს, როცა უმრავლესობა მხოლოთ მისკენ მიისწრაფის. რაკი მოდა ყველაზე გავრცელდება, ესე იგი, როცა მას ყველა ითვისებს, მაშინ მოდა კარგავს თვით-არსებობას, ის აღარ არის მოდა... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოდა როგორც უცბათ იბადება, ისე მალე კვდება. ვთქვათ, დაიბადა მეცნიერებაში ახალი მოძღვრება. ეს არ არის მოდა, რადგან მისი მერმისი ყველასა რწამს... მოდა კი სულ სხვანაირია. მოდა მხოლოთ მისთვის არის მოდა, რომელმაც კარგათ იცის, რომ ის მალე მოკვდება და გაქრება. მაგრამ აქ თქვენ დამეკითხებით: მაშ რათ ყიდულობენ მოდის ნივთებს, რომლებსაც შეუძლიათ გასძლონ ოცი-ოცდაათი წელიწადი? საქმე იმაშია, რომ მოდის მხოლოთ სხვა და სხვა გვარი სახე იცვლება, თვითონ მოდა, რაც უნდა ფორმა მიიღოს მან, ყოველთვის მოდა იქნება. ამისათვის ის საზოგადოთ უკვდავია... რადგან საზოგადოთ მოდა უკვდავია, ამის მიხედვით ყოველი წარმავალი სახეც მოდისა ყიდვის დროს უკვდავი გვგონია. და ამიტო-

მაცაა კიდეც, რომ სამოდო ნივთებს დიდი ხნით ვყიდულობთ, მაშინ როცა ერთი-ორი წლის შემდეგ მათ არარაფერი მნიშვნელობა არ ექნებათ.

ავიღოთ ახლა ის პირები, რომელნიც მოდას არ მისდევენ. აქ, ამ შემთხვევაშიაც მოდა შეიძლება იქნეს დაცული. თუ კი მოდის გაყოლა მოდაა, მისი უარყოფაც მოდაა; რადგან ამ უარყოფით ისინი არაჩქეს თუ ვერ უვლიან გარს მოდას, არამედ კიდეც ილავენ მას, მხოლოთ სხვანაირათ. აქ კმაყოფილდება მათი გრძნობა გარჩევისა; ორიგინალობისა. და თუ კიდევ მათ სხვებმა წაბაძეს ამ უარყოფაში, მაშინ ხომ მათი დაახლოვების და გაერთიანების მისწრაფებაც იქნება დაკმაყოფილებული. მოდაც ამ ორ მხარეს აკმაყოფილებს, და მაშასადამე, ისინიც ამნაირათ მოდას მისდევენ... ავიღოთ მაგალითი! ვთქვათ, რომ მოდაშია შემოღებული თმის კოხტათ შეკრეჭა. ამ შემთხვევაში მოდის უარმყოფელნი არამც თუ გაიკრეჭენ თმას, არამედ კიდეც დიდზე გაუშვებენ და გაიბურძგნიან. ამით ისინი იქცევენ სხვების ყურადღებას და მათ ორიგინალობის გრძნობაც საუცხოვოთ დაკმაყოფილდება. მათ, რასაკვირველია, ამნაირ მოდის უარყოფაში სხვებიც წაბაძავს, და მოდის უარყოფა ამრიგათ ნამდვილ მოდაში გადავა

ამნაირათ, მოდა საუკეთესო გამოხატვაა ჩვენი ბუნების ორგვარი მისწრაფებისა. ერთი მხრით, მოდა წაბაძვაა; აქ ის ერთი-მეორეში გვაახლოვებს და გვაერთიანებს. მეორე მხრით, მოდა გარჩევაცაა; აქ კი ის გვანსხვავებს და გვაცალკევებს. კლასებსა და წოდებათა შორის მოდა, ერთი მხრით, აერთიანებს რომელიმე კლასის ან წოდების წევრებს; მეორე მხრით, იმავე წევრებს მოდა არჩევს და ასხვავებს სხვა რომელიმე კლასის ან წოდების წევრებისაგან. თვით ეს ჩვენი მიდრეკილებანი ყოველთვის მოქმედობენ და იცვლებიან. ამისათვის მათი გამომხატველი მოდაც ნიადაგ იცვლება... მხოლოთ ეს მისწრაფებანი, რაც უნდა იცვალონ, ყოველთვის გვაქვს... ამისათვის მოდაც ყოველთვის არსებობს. რადგან რაც უნდა იცვალოს მოდამ თავისი ფორმა, ყოველი მისი ახალი ფორმა მოდა იქნება... და ამით ის უკვდავია...

გრ. რობაქიძე

არჩევნები პარიჟში.

არჩევნების დღე გათენდა. დილის რვა საათიდან ღიაა არჩევნებისთვის მომზადებული სახლები. კარებში დგას რამოდენიმე ლარიბათ ჩაცმული პირი ქაღალდებით ხელში და აწვდიან მათ სადგომში შემავალთ. ამ ქაღალდებზე აწერია ამა თუ იმ კანდიდატის სახელი, რომელიც წამოყენებულია ასარჩევათ. კაპიტალისტი და მუშა, პროფესორი და ქუჩის მგველი, გენერალი, მეწაღე, ყველა მამაკაცი 21 წლის, შედიან ამ სადგომში, მიდიან ყუთთან, აღგენენ თავიანთ საარჩევნო უფლების მოწმობას და დაკეცილ ქაღალდს აგდებენ ყუთში. ეს გრძელდება საღამოს ექვს საათამდე. უკვე ხუთი საათიდან ამ სახლების წინ ხალხი იწყებს თავის ყრას. ყოველ გვარ ყრილობაში, როგორც მაგალითათ კონფეტის დღესასწაულებზე: ფრანგი მშვიდობიანობის დამცველი და ტკბილია; ასეთ დღესასწაულებზე პოლიცია მხოლოთ მატარებლების მსვლელობას თუ აწესრიგებს, ხალხში კი სრულიათ არ ერევა, რადგანაც თითქმის დარწმუნებულია, რომ დღესასწაულებზე ფრანგი მხოლოთ მხიარულობს, სიამოვნებს და ვნება მისი დამტკბარი და მძინარეა, არავითარ უწესოებას ის არ ახდენს, თუმცა ფართო ქუჩებზე მილიონი თავების ზღვა ღელავს. ერთ მთვრალსაც კი ვერ შეხვდები ან უწესო სიტყვას.

სულ სხვაა დღეს. დღეს, როდესაც ფრანგი ელის თავისი ძვირფასი იმედების განხორციელებას, დღეს მან უნდა დაინახოს თავისი თვეობით ინტენსიური შრომის [illegible] ნაყოფი, დღეს მან უნდა იგრძნოს ან გამარჯვება ან დამარცხება, და ამიტომ ის აღელვებულია, მისი ცოცხალი ბუნება მოუთმენლათ ელის, რას იტყვიან ციფრები-და ვის ამოირჩევენ. რა თქმა უნდა, ასეთ მღელვარე გროვას ხალხისას არ აცდება აქა-იქ კინკლაობა, უხარე სიტყვა და ხან და ხან მუშტი-კრივიც. პოლიცია ამ დღეებში ფეხზე დგას და ქამარ-შეუხსნელი სძინავს, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე. იწყება ხმების თვლა, რაზედაც ყველას შეუძლია დაესწროს. გაზეთები წინ და წინ აფრთხილებენ ამომრჩევლებს, თვალი გეჭიროსთ კვირას-საღამოს, ხმები არ გააპარ-გამოაპარონო. ფართო ბულვარებზე გაზეთების რედაქციების წინ ხალხი ისეა გაჭედილი, რომ ნემსი არ ჩავარდება. რედაქციები ტყობილობენ ტელეგრამებით ამა თუ იმ დეპუტატის არჩევას პარიზში ან მის გარეთ· იმავე წამს თეთრ ტილოზე ბუნდოვანი ფარნის საშუალებით ატყობინებენ ხალხს. ძნელი წარმოსადგენია ის ენტუზიაზმი, ასი ათასი პირიდან ამოძახილი „ვაშა", ეს თითქმის ერთი წუთის განმავლობაში შეუწყვეტელი ზრიალი, რომლითაც ხალხი ეგებება თავისი საყვარელი კანდიდატის არჩევას. ნაშუალამებს სამ-ოთხ საათამდე ხალხი არ იშლება ქუჩებზე. ხან აქ, ხან იქ ამა თუ იმ კანდიდატის მომხრენი ასობით თავშეყრილნი დადიან ჩქარი ნაბიჯით ქუჩებზე და ხმა-მაღალის სიმღერით და „vive" ძახილით უფრთხობენ ძილს მაისის ტკბილ ღამეს.

დაწყნარდა პარიზი. შეწყდა გახურებული საარჩევნო კონფერანსები, შესუსტდა ვნებათა ღელვა და ახლა ყველა მონაგებ-წანაგებს ითვლის, ნაპოვნს შეხარის და დანაკარგს სტირის. ის თავგამოდებული აგიტაცია, რომელიც საფრანგეთის შეერთებული რეაქციის ყველა ძალებმა გამოიჩინეს ამ არჩევნების დროს, რომლისთვისაც მას არ დაუზოგავს არავითარი საშუალება, ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რასაკვირველია ფუჭათ არ ჩაივლიდა და აკი მართლაც ნაყოფი გამოიტანა. ეს ნაყოფი გამოისხა საფრანგეთის უძველესმა და უძლიერესმა დიდებულმა ცაცხვმა—პარიზმა. აი რა გამოისხა ამ მცოვანმა ხემ: 50 დეპუტატში პარიზში და მის მიდამოებში ამოირჩიეს 24 ნაციონალისტი, 14 სოციალისტი, 10 რადიკალი და 2 ზომიერი. ამ საოცნებო ხის ფესვები შორსაა გადგმული საფრანგეთის მიწაში და მის გარეთაც და აი რა გამოისხეს ამ ფესვებიდან ახალ ნაყარმა ხეებმა—პროვინციებმა და კოლონიებმა 219 რადიკალი და რადიკალ-სოციალისტი, 125 ზომიერი, 62 რესპუბლიკანელი, 33 სოციალისტი, 19 ნაციონალისტი, 41 რეაქციონერი, 35 დამოუკიდელი, თავისუფალი მოაზრე, და ორზე ჯერ ცნობები არ მოსულა. (ერთი მათგანი წმინდა პეტრეს ქალაქში უნდა აერჩიათ, მაგრამ ეს ქალაქი, როგორც იცით, ვულკანიდან ამოხეთქილმა ცეცხლმა მოსპო თავისი მკვიდრითურთ და ვინ ვიღას ამოირჩევს იქ?). ამ ნაირათ მომავალ 1 ივნისს პარლამენტში უნდა შევიდეს 590 დეპუტატი. მათ-შორის 338 ეხლანდელი სამინისტროს მომხრეა და 251 წინააღმდეგი. ასე რომ თუმცა ვალდეკ-რუსოსსამინისტროსთვის მტრებს სასაფლაოც ნაშოვნიც ქონდათ, კუბოც, ლედლებიც ნაქირავები ყავდათ, ერთი სიტყვით ყველაფერი რაც საჭიროა ასეთი დიდი რამეს გასასვენებლათ, მაგრამ მას ჯერ სიკვდილი არც კი დასიზმრებია. წინაამდეგ, როგორც მისი გაზეთები ამბობენ წინანდელთან შედარებით 34 ხმით გავ-

მდიდრდითო. ხმების რაოდენობა ასე განაწილდა:

	ᲡᲝᲪ.	ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲔᲑᲘ	ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ	ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲔᲑᲘ	ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ	ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ
	860.623	715.690	1.734.790	2.029.874	1.103.576	882.621	943.960
	664.552	621.972	1.711.573	2.019.853	1.090.223	617.428	910.283
	139.044	71.177	15.686	8.871	13.353	194.674	32.744
	57.027	22.541	7.531	1.150	„	70.519	933

სკორიაკოვმა წარუდგინა სასამართლოს გაზ. „ენისეის“ და „გუბერნიის უწყებების“ ნომრები, სადაც მართალ ერთში გაშვებული იყო წერილი შეუტვლელად, ხოლო მეორეში შემოკლებით ცენზორისაგან. ამასთანავე წარადგინა რამდენიმე კორექტურის ფურცელი, სადაც დობროხოტოვმა არ გაუშვა წერილები და შემდეგ კი იგივე წერილები დაიბეჭდა სხვა ცენზორის ნებართვით. აგრეთვე ერთი წერილიც ჯერ დაწერილი და შემდეგ კი ნება დართული.

მოწამე რომანოვმა უჩვენა, რომ ცენზორმა არ გაუშვა აგრეთვე ერთი წერილი, რომელიც შეეხებოდა „სასულიერო სასწავლებლის ფეხებს!?“ და სხვ.... სასამართლოში ითქვა ისიც, რომ ერთხელ იმავე ცენზორმა დობროხოტოვმა გაუშვა ერთი წერილი, მერე ისევ უკან მოითხოვა და ამოშალა თეატრის რეცენზია, „რადგანაც, უთქვამს ბ-ნ ცენზორს, უხერხულია, ვინაიდან წარმოდგენა მარია ივანოვნამ გამართა“. სკორნიაკოვმა თავის ჩვენებაში დაუსტა სასამართლოს ბროვინციალური ჟურნალ-გაზეთების აუტანელი მდგომარეობა ცენზორების მხრივ და სთხოვდა გამართლებას.

სასამართლომ ბრალდებული გაამართლა!...

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲣᲨᲛᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲒᲑᲘᲡ ᲕᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

გვერას, 5 მაისს, სოფელ გუხში, როგორც იქნა, შედგა კრება; ოუმცა ამინდი ხელს არ უწყობდა; მაინც მაინც საგმაო წვეთა რიცხვმა მოიყარა თავი. კრება გახსნა დილის 11 საათზე ამხანაგობის მართველმა ბ-მა ნ. წერეთელმა, რომელმაც წაუკითხა კრებას განსასილველ საგნების სია და სთხოვა კრებას თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი ი. რ. ტატიშვილი, ხოლო მდივნად ბ-ნი ის. კვიცარიძე. 1) განსახილველი იყო 1900 და 1901 წლების ანგარიში; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) ახალ, სამინისტროსაგან დამტკიცებულ წესდების თანახმად ერთი გამგისა და ორი დირექტორის არჩევა, მიმდინარე წლის ხარჯი-ხარიცხვის დამტკიცება და სხვ. პირველად სიტყვა მოითხოვა ამხანაგობის მართველმა. მან აიღო ხელში მის მიერ შედგენილი ანგარიში, რომელიც წევრებს ერთი თვის წინეთ დაურიგდა. „ბატონებო, დაიწყო მართველმა, თუმცა ეს ანგარიში ბევრ თქვენგანს ექნება წაკითხული, მარა მე სრული დარწმუნებული ვარ-ველა ვერ კიაგებდა. (ეს შენიშვნა საბუთიანია მიმაჩნია, მართალია ისე ბუნდოვანთ იყო ანგარიში შედგენილი, რომ სრული დარწმუნებული ვარ ორ-სამ კაცმა გამგეს გაეგებოდა რა მისი) და ამიტომ მსურს ხელახლა წაგიკითხოთ“. ეს ჩემი წინასიტყვაობაა, დასძინა გამგემ და განაგრძო ანგარიშის კითხვა ცალკე ნაწილების რიგ რიგით, წაიკითხა რა მოკლე ანგარიში 1900 და 1901 წლებისა, სურდა დაწვრილებით წაეკითხა მთელი ანგარიში, რომელიც 21 გვერდისაგან შედგება, საზოგადოება არ დათანხმა. ერთმა სოფლელმა შენიშნა: „ბატონო ნესტორ, შენ მარშანდულთ გინდა მაგ ანგარიშის კითხვით დაგვიღალო და რაც ჩვენი საუნარდებო და სასარგებლოა, ის თავიდან აგვაშორო? არა, ეხლა ამის ნებას არ მოგცემთ, ანგარიში უმრავლესობას წაკითხული აქვს, თუ გაუგია რამე, ხომ კარგი და თუ არა, რამდენიც უნდა უკითხოთ, მაინც ვერას გაგებინებთ. აქ იმეოფებიან ამ საქმის მცოდნე პირები და თუ ანგარიში სწორი არ არის, ისინი აღნიშვნენ, შენ კი თავი დანებე ლაპარაკს. კრებამ ითხოვა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კომისიის წევრმა მდ. მაჭარაძემ წაიკითხა ეს მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: „განიხილა რა სარევიზიო კომისიამ ანგარიში და დავორები, ვერავითარი ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინა, შეცდომები კი იპოვნა გამგის მოქმედებაში, მარა მას ნება არ ქონდა გამგეობაში ჩარევისა. მართალია, ამხანაგობას დიდი ზარალი მოუვიდა 1900 წელს მით, რომ პარეი ევროპაში გაიტანა, მარა ეს შეცდომას მიეწერება და არა ბოროტმოქმედებასაო“. სარევიზიო კომისიის მოხსენება ჯეროვანთ ვერ სცნო ბ-მა ი. კაკაბაძემ და ეს მათ საქმის არ ცოდნას მიაწერა. შემდეგ მან კრებას მიუთითა ანგარიშის ამ ადგილებზე, რომელთა სინამდვილე ეჭვს ბადებდა, როგორც მაგალ. 1) 2533 ფუთი ხმელი პარეის გადარჩენა დამტკიცა 2416 მ. 27 კ. მაშინ, როცა თითო ფუთი პარეის [illegible] ჯდებოდა; 2) სახლვარ გარეთ წასვლა-მოსვლა [illegible] დაჯდომია გამგეს 1779 მ. მაშინ, როცა წასვლა მოსვლა 300 მ. ჯდება და თვეში პირველ ხარისხავან სასტუმროშიც რომ ჩამოხტეთ, სასმელ-საჭმელით ეს მანეთზე მეტი არ დაგეხარჯებაო. ბ-მა წერეთელმა ეს ბრალდებანი სასაცილოთ აიღო; ეს საეჭვო ადგილები არ არისო: წასვლა-მოსვლა იმიტომ დამიჯდა ძვირი, რომ მე მარტო მარსელში არ ვეოფილვარ, ევროპის სხვა ქალაქებშიაც ვიყავიო (ალბათ დასათვალიერებლათ, ტურისტის როლი თუ შესრულა).—სარევიზიო კომისიის წევრმა ბ-მა ბ. ჩხიკვიშვილმა თქვა, რომ ბ-ნ კაკაბაძის ბრალდება სარევიზიო კომისიისადმი უსაფუძვლოაო. მე ბ-ნ წერეთლის მოწინააღმდეგე ეოველთვის ვიყავი და ვარ დღესაც, მე ვახსოვდ წინა კრებებზე სახზოგადოებას გაეუქმებია საქსოვი ქარხანა, რომელიც ზარალის მეტს არას იძლევა, რადგან ჩვენი ქსოვილები კონკურენციას ვერ გაუწევს მოსკოვის ქსოვილებს, მარა ჩემ რჩევას სახზოგადოებამ ყური არ ათხოვა და საქსოვი ქარხანა არ გაუქმა. ბ-მა მდივანმა თქვა: ამხანაგობას თავისი წიდის ფული დაბანდული აქვს საქსოვ ქარხანაში და ფარდულებში, მისი ქონება დღეს მკვდარ კაპიტალს შეადგენს და პარეის საეიდლათ მას ფული არ აქვს, რის გამო ის იძულებულია 10—12%-ათ ისესხოს საჭირო ფული, რასაც შედეგათ ის მოყვება, რომ ამხანაგობა სხვისი მუშა გამოდის, მისი ფული გაჩერებულია უსარგებლოთ, ხოლო ის კი სხვის ფულში ასე დიდ პროცენტს იხდის (უნდა აღვნიშნოთ, რომ წიდის ფული 25187 მანეთს შეადგენს), და ამ ნაირ წარმოებას ის ჯობია, რომ ამხანაგობის ოპერაციები გაუქმდეს, თორემ რა საჭიროებლობას მოგვიტანს ჩვენ სხვისი მილიონები ვატრიალოთ და ჩვენ ჯიბეში გახვრეტილი კაბაც კი არ დარჩეს. დამტკიცდა ის ფაქტი, რომ მართველი არა წევრს ფუთ პარეში 14 მ. 50 კ. აძლევდა ნადგთ, ხოლო წევრებს კი ათ მანეთს ფულათ და დანარჩენს შემდეგში პირდებოდა. ამ საგნის შესახებ ბ-ნმა ივ. გომართელმა ა ი რ ა თქვა: „ამხანაგობას მაშინ აქვს საზოგადებრივი მნიშვნელობა, როცა ის უმრავლესობისთვის საჭიროებლოა. ხოლო თუ ის საზარალოა მათთვის, მაშინ ის მოკლებულია საზოგადებრივ მნიშვნელობას, ამ ნაირ შემთხვევაში ის ჩარჩისაგან არავერით განსხვავდება. მაშინ, რაცა მწარმოებელს შეეძლო ბაზარზე ფუთი პარეი 15 მ. კეეიდა, ამხანაგობა მას 10 მ. აძლევს და დანარჩენს პარეის გაეიდვის შემდეგ პირდება, რაც მის მიერ გამოცემულ განცხადებიდან ჩანს, სადაც ასე წერია: „ეხლა ავანსათ მიიღებთ თუმანს, დანარჩენს კი პარეის გაეიდვის შემდეგ“. ეს დანარჩენი მოგებას უნდა ნიშნავდეს და არა ზარალს და ამას ასე კაიგებდა არა თუ სოფლის გლეხი, ნასწავლი კაციც, დღეს კი ბ-ნი მართველი იმით იმართლებს თავს, რომ მოგება და ზარალი ძმებიაო. ეს შეცდარი თავის მართლებაა, თუ მას ასე სურდა, მაშინ სულ სხვა პირობით უნდა შეკვროდა მწარმოებელ ამხანაგებს“. ამაზე ბ-ნმა წერეთელმა სიცილით უპასუხა საზოგადოებას: „ასე რომ არ მოქცეულიყავი, პარეს არავინ მანდობდა“. თქვა თუ არა ეს, საზოგადოებამ ერთ ხმათ დაიყვირა: „გაგა, ბატონო ნესტორ, ასე მოგვატყუე და ეხლა დაგვტინი კიდეც?“ და დარბაზში ერთი აურ-ზაური ატეხა, თავმჯდომარე გაცხარებით რეკდა ზარს, მარა ამ ყვირილმა ხუთ წუთს მაინც გასტანა. ბ-მა ე. კიწმარიშვილმა აღნიშნა. სანამ ამხანაგობა თავის ფარგალში იყო და მარტო წევრებისგან ეიღებდა პარეს, მას მოგების მეტი არა უნახავს რა. მარა როცა მან გადაბაჯა საზღვარს და ჩარჩებისგან დაიწყო პარეის ეიდვა, იმ დიდან მისი საქმე ცუდათ წავიდა, აი მაგალითი: ამხანაგობას უეიდია ჩარჩისაგან ფუთი ხმელი პარეი 53 მ., მას კი გაუეიდია მარსელში 48 მ., ანგარიშში კი აღნიშნულია ამხანაგობამ იზარალაო. ვინ მისცა ნება ბატ. წერეთელს ასე მოქცეულიყო, თუ ეს არის ამხანაგობის ინტერესის დაცვაო.—რაცა ანგარიშის კითხვა დასრულდა, კრებას თხოვა გამგემ ანგარიშის და-

შტატების. ი. კაკაბაძე წინააღმდეგი იყო ანგარიშის დამტკიცებისა და თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ ანგარიში არ არის სწორი. საჭიროა ხელ-ახალი სარევიზიო კომისიის არჩევა და მას მიენდოს ანგარიშის და დავთრების განხილვა, თორემ ახლად არჩეული გამგეობა უხერხულ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული, რადგან საქმე ისე არეულია, რომ სად თავია და სად ბოლო, კაცმა არ იცის. ამ აზრს უმრავლესობა მიემხრო, მარა მართველის მომხრეებმა ანგარიში მაინც დამტკიცებულად იცნეს, რადგან ბატონ მართველს ასე სურდა.—აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხის აზრს საზოგადოთ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნ: რაც სურდათ, იმას ადგენდენ, ოპოზიცია მოუმზადებელი იყო, თან რაც უფრო საყურადღებოა სხვა და სხვა აზრისანი და ამით საქმეს მეტად ავნებს.—ახალი წესდების თანახმად არჩეულ იქნენ ორი დირექტორი და ერთი გამგე: უკანასკნელის ადგილზე ისევ ნესტორ წერეთელი აირჩიეს; ხოლო დირექტორებათ ბ. ბ. პ. მდივანი და ქ. კიწმარაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ: ივ. გომართელი, პ. კიკალიშვილი და ევ. ქუთათელაძე.

დასასრულ განიხილეს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჯამაგირს დღემდე გამგე 1500 მ. ღებულობდა, საზოგადოებამ განაცხადა, რომ რადგან ამხანაგობამ დიდი ზარალი ნახა, გამგეს შეუმციროთ ჯამაგირი 1000 მანეთამდე. გამგე ამის წინააღმდეგი იყო. მე, თქვა მან, ვალები დამედო; 1500 მ. არ მეყოფნის და თქვენ კიდევ მიკლებთო. საზოგადოება თავისას გაიძახოდა, მარა მაინც ოქმში 1500 მ. შეიტანეს. დირექტორებს 800-800 მანეთი დანიშნათ და დაევალათ ბუხჰალტერის მოვალეობაც მათ იკისრონ. ამით დასრულდა კრება საღამოს 6 საათზე.

ნ. ჩ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

კვირას, 12 მაისს 1902 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

ძალა აღმართსა ხნავს

კომედია 4 მოქ., ვალ. გუნიასი (სოლოვიოვიდან).

მოქმედნი პირნი:

ზაზა მარნიშვილი, მდიდარი და შეძლე მექარხნე, ბ. ივანიძე. თებრო, ამისი ცოლი, ქ. გივიშვილი. ვახტანგ, ამათი შვილი 27 წ., ბ. გუნია. თავ. პეტრე ნერილიძე, ნაფიცი ვექილი ბ. შათირიშვილი. კნეინა ქეთევან გურჯანაძისა, გენერლის ქვრივი, ქ. გაბუნია ცაგარელი. თამარ (ტამოჩკა), ამისი ქალი, ბ. კარგარეთელი. მოსიკო, ვახტანგის მსახური, ბ. რომანიშვილი. ლაქია, გურჯაანიძეთა მსახური, NN.

II

დივერტისმენტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ:

ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა და ბ-ნნი NN, კ. შათირიშვილი, ა. კავსაძე, ა. ადამიძე.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 19 დღეს, დილის ათ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა იმ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისთვის.

4, კერძო მოხსენებანი.

5, არჩევანი გამგეობის ერთი წევრისა, ნაცვლად ი. გ. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება.

და 6, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი – ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

ქ. გ. ფედოროვი—შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ვ. დ. დამბაშიძე – შინაგ. 10– 11, სამშაბათს და ხუთშ. 1—2.

ნ. ა. მელინი—ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10 —12.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვიინი—ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი – დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.).

გაზეთი „ივერია“,

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე

გადადის საკუთრებათ „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილ 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზ-ს-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი, იაკობ სვიმონის ძე, გძელიშვილი, გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე, ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე. და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათი პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ [illegible] апрѣля 1902г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ. № 1—